

**შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია  
ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო“**

**ფინანსური ანგარიშგება და  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა  
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის  
(ინგლისურ ენაზე გამოცემული ორიგინალის თარგმანი)**

## შინაარსი

|                                                                 |    |
|-----------------------------------------------------------------|----|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა                                 | 3  |
| <b>ფინანსური ანგარიშგება:</b>                                   |    |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                              | 7  |
| მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება            | 8  |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება                               | 9  |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება                                    | 10 |
| <b>ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:</b>          |    |
| 1. შესავალი                                                     | 11 |
| 2. მომზადების საფუძველი                                         | 11 |
| 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა | 12 |
| 4. გამოცემული ფასს სტანდარტები, რომლებიც ჯერ ძალაში არ შესულა   | 22 |
| 5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო დაშვებები და შეფასებები             | 24 |
| 6. ფული და ფულის ექვივალენტები                                  | 26 |
| 7. გაცემული სესხები                                             | 26 |
| 8. სხვა აქტივები                                                | 29 |
| 9. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური ქონება                | 30 |
| 10. საწესდებო კაპიტალი                                          | 30 |
| 11. წმინდა საპროცენტო შემოსავალი                                | 30 |
| 12. სხვა შემოსავლები                                            | 31 |
| 13. სხვა ხარჯები                                                | 31 |
| 14. საკონსულტაციო ხარჯი                                         | 31 |
| 15. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)             | 31 |
| 16. მოგების გადასახადის ხარჯი                                   | 32 |
| 17. ფინანსური რისკის მართვა                                     | 32 |
| 18. კაპიტალის მართვა                                            | 36 |
| 19. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები     | 36 |
| 20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან                          | 37 |
| 21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები                   | 37 |

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისოს“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

### *პირობითი მოსაზრება*

ჩავატარეთ შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისოს“ (კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „*პირობითი მოსაზრების საფუძველი*“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

### *პირობითი მოსაზრების საფუძველი*

2014 წლის ივლისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს 9 - ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ საბოლოო ვარიანტი, რომელმაც ჩაანაცვლა ბასს 39 - „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიამ ფინანსური ინსტრუმენტები უნდა აღრიცხოს ფასს 9 სტანდარტის შესაბამისად 2018 წელს დასრულებული წლისთვის. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით კომპანიამ შეცვალა სააღრიცხვო პოლიტიკა ფასს 9 - ის შესაბამისად (შენიშვნა 3). თუმცა, ჩვენ ვერ შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია ადეკვატურად ითვალისწინებს ფასს 9 - ის მოთხოვნებს ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვისთვის. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება იმაზე, რომ კომპანიის ფინანსური აქტივების გაუფასურება სწორად არის დაანგარიშებული ფასს 9 - ის მოთხოვნების შესაბამისად. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა კორექტირებები წარდგენილ გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებასთან და სესხის გაუფასურების რეზერვის ხარჯთან დაკავშირებით.

გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ დავინიშნეთ კომპანიის აუდიტორებად 2018 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, ვერ შევძელით დავკვირვებოდით 2018 წლის ბოლოს სალაროში არსებული ნაღდი ფულის ინვენტარიზაციას, რომლის ღირებულებაც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 112,868 ლარს. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით აღნიშნული თარიღისთვის არსებული სალაროს ნაშთის სისწორეში და შესაბამისად, ჩვენ ასევე ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, ასევე ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

Closer to you

7

ჩვენ კომპანიისგან ვერ მოვიპოვეთ მიღებულ სესხთან დაკავშირებით საკმარისი და შესაფერისი დოკუმენტაცია, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 58,765 ლარის ოდენობით. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავადასტურეთ აღნიშნული სესხის არსებობა და შესაბამისად საპროცენტო ხარჯის ოდენობაც, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 5,969 ლარის ოდენობით.

ჩვენ კომპანიისგან ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი ინფორმაცია უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთებისა და ბრუნვების შესახებ, კომპანიის სააღრიცხვო პროგრამაში არსებული შეზღუდვის გამო. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავადასტურეთ უცხოური ვალუტის გადაფასების შედეგად მიღებული ზარალის სისრულე და სიზუსტე, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 8,950 ლარის ოდენობით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ზემოაღნიშნულ თანხაში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

#### **სხვა ინფორმაცია**

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს 2018 წლის მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნას. სავარაუდოდ, მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება ამ აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსურ აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებითად თანხვედრილი და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

#### **სხვა გარემოება**

კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც 2018 წლის 13 ივლისს გასცა პირობითი დასკვნა, იმის გამო, რომ კომპანიას არ ჰქონდა გამართული სააღრიცხვო სისტემა და ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მოხერხდა უცხოური ვალუტის გადაფასების ეფექტის დადასტურება. აგრეთვე, ვერ მოხერხდა მიღებული სესხების დადასტურება.

**Closer to you**

7

### **ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას, დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

**Closer to you**

7

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი მოცემული აუდიტისა, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა, არის მალხაზ უჯმაჯურიძე.

შპს ნექსია თიეი-ს სახელით

თბილისი, საქართველო


21 ივნისი, 2019




**Closer to you**

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო“  
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშება  
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 (ქართულ ლარში)

|                                         | შენიშვნა | 31 დეკემბერი<br>2018 | 31 დეკემბერი<br>2017 |
|-----------------------------------------|----------|----------------------|----------------------|
| <b>აქტივები</b>                         |          |                      |                      |
| ფული და ფულის ექვივალენტები             | 6        | 313,779              | 222,233              |
| გაცემული სესხები                        | 7        | 422,191              | 294,062              |
| სხვა აქტივები                           | 8        | 43,555               | 66,771               |
| გადახდილი ავანსები                      |          | -                    | 5,552                |
| ძირითადი საშუალებები                    | 9        | 11,504               | 8,347                |
| არამატერიალური აქტივები                 | 9        | 4,247                | 975                  |
| <b>სულ აქტივები</b>                     |          | <b>795,276</b>       | <b>597,940</b>       |
| <b>ვალდებულებები</b>                    |          |                      |                      |
| მიღებული სესხები                        |          | 58,765               | 52,796               |
| საგადასახადო ვალდებულებები              |          | 26,729               | 17,844               |
| სავაჭრო ვალდებულებები                   |          | 7,500                | -                    |
| მიღებული ავანსები                       |          | 1,130                | -                    |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                |          | <b>94,124</b>        | <b>70,640</b>        |
| <b>კაპიტალი</b>                         |          |                      |                      |
| საწესდებო კაპიტალი                      | 10       | 734,725              | 475,590              |
| (დაგროვილი ზარალი)/გაუნაწილებელი მოგება |          | (33,573)             | 51,710               |
| <b>სულ კაპიტალი</b>                     |          | <b>701,152</b>       | <b>527,300</b>       |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>    |          | <b>795,276</b>       | <b>597,940</b>       |


  
 აზრაფ ემის სადეკ მიხაელ  
 დირექტორი


  
 მართა დოჯაშვილი  
 მთავარი ბუღალტერი

11-37 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო“  
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ქართულ ლარში)

|                                                  | შენიშვნა | 2018     | 2017     |
|--------------------------------------------------|----------|----------|----------|
| საპროცენტო შემოსავალი                            | 11       | 66,386   | 100,944  |
| საპროცენტო ხარჯი                                 | 11       | (5,969)  | (7,408)  |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე      |          | 60,417   | 93,536   |
| გაუფასურების რეზერვის აღდგენა                    | 7        | 7,411    | 11,158   |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების შემდეგ |          | 67,828   | 104,694  |
| სხვა შემოსავალი                                  | 12       | 3,077    | -        |
| კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი           | 15       | (8,950)  | (21,874) |
| პერსონალის ხარჯი                                 |          | (67,318) | (45,554) |
| იჯარის ხარჯი                                     |          | (41,864) | (33,222) |
| საკონსულტაციო ხარჯი                              | 14       | (17,012) | (18,275) |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი                    | 9        | (3,464)  | (325)    |
| სხვა ხარჯები                                     | 13       | (17,580) | (26,879) |
| ზარალი დაბეგვრამდე                               |          | (85,283) | (41,435) |
| მოგების გადასახადი ხარჯი                         | 16       | -        | -        |
| წლის წმინდა ზარალი                               |          | (85,283) | (41,435) |
| სხვა სრული შემოსავალი                            |          | -        | -        |
| წლის სრული ზარალი                                |          | (85,283) | (41,435) |


  
 აშრაფ ემის სადეკ მიხაელ  
 დირექტორი


  
 მარტია დოჯურიშვილი  
 მთავარი ბუღალტერი

11-37 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო“  
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება  
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ქართულ ლარში)

|                      | შენიშვნა | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება/(დაგროვილი<br>ზარალი) | სულ      |
|----------------------|----------|-----------------------|-----------------------------------------------|----------|
| 1 იანვარი 2017       |          | 426,524               | 93,145                                        | 519,669  |
| კაპიტალში შენატანები |          | 49,066                | -                                             | 49,066   |
| წლის სრული ზარალი    |          | -                     | (41,435)                                      | (41,435) |
| 31 დეკემბერი 2017    |          | 475,590               | 51,710                                        | 527,300  |
| კაპიტალში შენატანები | 10       | 259,135               | -                                             | 259,135  |
| წლის სრული ზარალი    |          | -                     | (85,283)                                      | (85,283) |
| 31 დეკემბერი 2018    |          | 734,725               | (33,573)                                      | 701,152  |


  
 აშრაფ ემის სადეკ მიხაელ  
 დირექტორი


  
 მარტა დოჯურიშვილი  
 მთავარი ბუღალტერი

11-37 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური  
 ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო“  
 ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება  
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ქართულ ლარში)

|                                                                                                                     | შენიშვნა | 2018             | 2017             |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------|------------------|------------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან</b>                                                                   |          |                  |                  |
| ზარალი დაბეგვრამდე                                                                                                  |          | (85,283)         | (41,435)         |
| <b>კორექტირებები:</b>                                                                                               |          |                  |                  |
| კურსთაორის სხვაობიდან მიღებული ზარალი                                                                               | 15       | 8,950            | 21,874           |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                                                                | 9        | 3,464            | 2,087            |
| საპროცენტო შემოსავალი                                                                                               | 11       | (66,386)         | (100,944)        |
| საპროცენტო ხარჯები                                                                                                  | 11       | 5,969            | 7,408            |
| სესხის გაუფასურების რეზერვი                                                                                         | 7        | (7,411)          | (11,158)         |
| მოგება დასაკუთრებული ქონების გაყიდვიდან                                                                             | 12       | (3,077)          | -                |
| <b>ფულადი საშუალებების გადინება საოპერაციო საქმიანობებიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b> |          | <b>(143,774)</b> | <b>(122,168)</b> |
| <b>მოძრაობა მიმოქცევა კაპიტალში:</b>                                                                                |          |                  |                  |
| შემცირება / (ზრდა) კლიენტებზე გაცემულ სესხებში                                                                      |          | (114,643)        | 198,103          |
| შემცირება / (ზრდა) სხვა მოთხოვნებში                                                                                 |          | 23,191           | (66,331)         |
| ზრდა / (შემცირება) სხვა ვალდებულებებში                                                                              |          | 10,098           | (8,590)          |
| <b>ფულადი საშუალებების (გადინება)/შემოდინება საოპერაციო საქმიანობებიდან პროცენტსა და დაბეგვრამდე</b>                |          | <b>(225,128)</b> | <b>1,014</b>     |
| მიღებული პროცენტი                                                                                                   |          | 57,551           | 100,859          |
| გადახდილი პროცენტი                                                                                                  |          | -                | (7,408)          |
| <b>წმინდა ფულადი საშუალებების (გადინება)/შემოდინება საოპერაციო საქმიანობებიდან</b>                                  |          | <b>(167,577)</b> | <b>94,465</b>    |
| <b>მირითადი საშუალებების შეძენა</b>                                                                                 |          |                  |                  |
| არამატერიალური აქტივების შეძენა                                                                                     | 9        | (5,534)          | (515)            |
| <b>წმინდა ფულადი საშუალებების (გადინება)/შემოდინება საინვესტიციო საქმიანობებიდან</b>                                |          | <b>(9,894)</b>   | <b>(515)</b>     |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან</b>                                                                    |          |                  |                  |
| კაპიტალის ზრდა                                                                                                      | 10       | 259,135          | 49,066           |
| სესხის დაფარვა                                                                                                      |          | -                | (46,454)         |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება საფინანსო საქმიანობებიდან</b>                                                 |          | <b>259,135</b>   | <b>2,612</b>     |
| ფულადი და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა                                                                          |          | 81,664           | 96,562           |
| ფულადი და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში                                                                       | 6        | 222,233          | 125,586          |
| უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა                                                                   |          | 9,902            | 85               |
| ფულისა და ფულის ექვივალენტებზე                                                                                      |          |                  |                  |
| <b>ფულადი და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს</b>                                                                     | <b>6</b> | <b>313,799</b>   | <b>222,233</b>   |

  
 აშრაფემის სადეკ მინახელ  
 დირექტორი

  
 მართა დოჯურიშვილი  
 მთავარი ბუღალტერი

11-37 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## 1. შესავალი

### ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო“ (კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, თბილისი, დავით აღმაშენებლის N86.

კომპანიის მფლობელები არიან აშრაფ ემილ სადეკ მიხაილ (60%), აშრაფ ემილ სადეკ სოლიმან (30%), სუსან ფაიზ ამინ იაკუბ (10%) 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის მმართველი ორგანოებია: სამეთვალყურეო საბჭო (თავმჯდომარე: ემილ სადეკ მიკაელ სოლიმან), პარტნიორთა კრება და დირექტორატი (დირექტორები: ემილ სადეკ მიკაელ სოლიმანი, აშრაფ ემილ სადეკ მიხაელ).

კომპანია დაფუძნდა 2013 წლის 21 ივნისს. კომპანიის ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია მიკროსაფინანსო სესხების გაცემასთან, ხოლო მთავარი პროდუქტებია, იპოთეკური და სალომზარდე სესხები.

კომპანიას ოფისი აქვს თბილისიში.

## 2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისას ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა, ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა და საწესდებო კაპიტალში განხორციელებული შენატანების ოდენობა (შენიშვნა 10 და შენიშვნა 21), რაც, მიკროსაფინანსო ბაზარზე სირთულეების მიუხედავად, საშუალებას მისცემს კომპანიას განაგრძოს ფუნქციონირება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. კომპანიის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო

ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა

#### საანგარიშგებო ვალუტა

კომპანიის საოპერაციო და წარდგენის ვალუტა არის - ქართული ლარი (GEL). გარიგებები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აღირიცხება ოფიციალურ ვალუტაში გარიგების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მიმდინარე კურსით. ფულადი საშუალებები უცხოურ ვალუტაში ანგარიშგების დღისათვის კონვერტირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საანგარიშო დღის სავალუტო კურსით. კურსის ყველა სხვაობა, რომელიც წარმოიშობა ანგარიშსწორებისას, ჩაითვლება მოგებაში ან ზარალში.

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთის კონვერტაციისათვის გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსი არის შემდეგი:

|                        | 31 დეკემბერი 2018 | 31 დეკემბერი 2017 |
|------------------------|-------------------|-------------------|
| 1 USD/GEL              | 2.6766            | 2.5922            |
| 1 EUR/GEL              | 3.0701            | 3.1044            |
|                        |                   |                   |
| საშუალო გაცვლითი კურსი | 2018              | 2017              |
| 1 USD/GEL              | 2.5345            | 2.5086            |
| 1 EUR/GEL              | 2.9913            | 2.8322            |

#### ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

კომპანიამ პირველად გამოიყენა გარკვეული სტანდარტის ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. კომპანიას არ დაუნერგავს არც ერთი სტანდარტი, ცვლილება ან შესწორება, რომელიც უკვე გამოცემულია, თუმცა ძალაში შესული არ არის.

კომპანიამ პირველად გამოიყენა ფასს 15 და ფასს 9. აღნიშნული ახალი სააღრიცხვო სტანდარტების დანერგვით გამოწვეული ცვლილების შინაარსი და ეფექტი აღწერილია ქვემოთ.

#### ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 ჩაანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიას არ გადაუნაგარიშებია 2017 წლის შესადარისი ინფორმაცია ფასს 9-ის მიხედვით, შესაბამისად 2017 წლის შესადარისი ინფორმაცია გაცხადებულია ბასს 39-ის შესაბამისად.

#### ა) კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ აკმაყოფილებს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის“ (SPPI) კრიტერიუმს, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. სავალ ფინანსური აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI კრიტერიუმს,

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარებისას მათი კლასიფიკაცია განისაზღვრება იმ ბიზნესმოდელის საფუძველზე, რომლითაც იმართება ეს ფინანსური ინსტრუმენტები:

- ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით;
- ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით“ ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში;
- ინსტრუმენტები, რომლების იმართება სხვა საფუძველზე, მათ შორის სავაჭრო ფინანსური აქტივები, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

წილობრივი ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირებული უნდა იქნეს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ხდება ინსტრუმენტების შეუქცევადი კლასიფიცირება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში. სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით კლასიფიცირებული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი, გარდა დივიდენდის სახით მიღებული შემოსავლისა, აღიარებული უნდა იქნეს სხვა სრულ შემოსავალში, მოგებაში ან ზარალში შემდგომი რეკლასიფიცირების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება მეტწილად უცვლელი რჩება და არ განსხვავდება არსებული ბასს 39-ის მოთხოვნებისგან. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები კვლავ შეფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები აღარ არის გამიჯნული დაკავშირებული ფინანსური აქტივისგან.

#### ა) გაუფასურება

ბასს 39-ის განცდილი ზარალის მიდგომა ჩაანაცვლა ფასს 9-ის საპროგნოზო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მიდგომამ.

რეზერვები ეფუძნება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც უკავშირდება მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას, თუ სესხის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივის განმარტებას, მაშინ რეზერვი დაეყრდნობა აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებას. კომპანიის გაუფასურების დარიცხვის მეთოდი განხილულია შენიშვნა 7-ში.

ფასს 9-ის დანერგვას არ ჰქონია რაოდენობრივი გავლენა 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით.

#### ფასს 15 „შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“

ფასს 15, რომელიც გამოიცა 2014 წლის მაისში და შეცვლილ იქნა 2016 წლის აპრილში, განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. კლიენტებთან გაფორმებული

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლის აღიარებისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც კომპანია მოელის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. თუმცა, სტანდარტი არ ეხება ფინანსურ ინსტრუმენტებთან და იჯარასთან დაკავშირებულ შემოსავალს, აქედან გამომდინარე, არ ახდენს გავლენას კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილზე, მათ შორის საპროცენტო შემოსავალზე. შედეგად, კომპანიის შემოსავლის უმეტესი ნაწილი არ შეცვლილა სტანდარტის დანერგვის შედეგად.

#### მოგების გადასახადი

საგადასახადო ხარჯები წარმოადგენს მთლიან თანხას, რომელიც შედის მოგება-ზარალში მიმდინარე საგადასახადო და გადავადებული საგადასახადო პერიოდისათვის.

მიმდინარე გადასახადი არის მოგების გადასახადის თანხა, რომელიც გადასახდელია ან უკან დაბრუნებადია დასაბეგრ მოგებასა ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისათვის.

გადავადებული გადასახადის აქტივი ან ვალდებულება აღიარებულია გადასახადისათვის, რომელიც ამოღებადია ან გადასახდელია სამომავლო პერიოდებში, როგორც წარსული გარიგებების ან ღონისძიებების შედეგი. გადავადებული გადასახადი წარმოიშობა სხვაობისგან (ცნობილია, როგორ დროებითი სხვაობა) ფინანსური მდგომარეობის შესახებ განაცხადში მოცემული აქტივების და ვალდებულებებში საბალანსო მაჩვენებლებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის. აქტივების საგადასახადო ბაზა განისაზღვრება აქტივების გათავისუფლების თანმიმდევრობით.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებში აღიარებულია ყველა დროებითი სხვაობისათვის, რასაც მოსალოდნელია, რომ გაზრდის მომავალში დასაბეგრ მოგებას, გარდა მათი, რაც დაკავშირებულია გუდვილთან. გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებულია ყველა დროებითი სხვაობისათვის, რომლებიც მოსალოდნელია, რომ შეამცირებს მომავალში დასაბეგრ მოგებას და ნებისმიერ გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები ფასდება უმაღლესი თანხით, რომელიც მეტად მოსალოდნელია, რომ არ იქნება ამოღებული, მიმდინარე ან სამომავლო გეგმიური დასაბეგრი მოგების საფუძველზე. გადავადებული საგადასახადო აქტივების წმინდა საანგარიშო ღირებულება განიხილება ყოველ სააღრიცხვო თარიღზე და რეგულირდება, რათა ასახოს მომავალი დასაბეგრი მოგების ახლანდელი შეფასება. ნებისმიერი რეგულირება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, თუ სხვა მთლიანი შემოსავლის პუნქტისათვის არ არის დამხასიათებელი.

გადავადებული გადასახადი გამოიანგარიშება საგადასახადო ტარიფით, რომელიც მოსალოდნელია, რომ გავრცელდება დასაბეგრ მოგებაზე (საგადასახადო ზარალი) იმ პერიოდისათვის, როცა მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ გადავადებული საგადასახადო აქტივები განთავისუფლდება ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები დაიფარება, იმ საგადასახადო ტარიფების საფუძველზე, რომელიც ამოქმედდა ან არსებითად ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

##### *თავდაპირველი აღირება*

##### *აღიარების თარიღი*

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც

კომპანიამ აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

##### *თავდაპირველი შეფასება*

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებლო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, ასეთ შემთხვევაში ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

##### *ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები*

2018 წლის 1 იანვრიდან, კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელიდან და სახელშეკრულებლო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენდა კლიენტებზე გაცემულ სესხებად და მოთხოვნებად (ამორტიზირებული ღირებულება), გასაყიდად გამიზნულად ან დაფარვის ვადამდე ფლობილად (ამორტიზირებული ღირებულება).

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

##### *კლიენტებზე გაცემული სესხები, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ამორტიზირებული ღირებულებით*

2018 წლის 1 იანვრამდე კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავდა არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყო კოტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ აქტივებისა:

- რომლებსაც კომპანია უპირებს დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გაყიდვას;

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

- რომლებსაც კომპანია თავდაპირველი აღიარებისას მიაკუთვნებს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახულის ან გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას;
- რომლებზეც კომპანიამ შეიძლება სრულად ვერ ამოიღოს თავდაპირველი ინვესტიცია ამა თუ იმ მიზეზით, გარდა კრედიტის გაუარესების მიზეზისა, და რომელიც მიეკუთვნება გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას.

2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია ახდენს კლიენტებზე გაცემული სესხების და სხვა ფინანსური ინვესტიციების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- 1) ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით.
- 2) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

ზემოხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

#### *ბიზნესმოდელის შეფასება*

კომპანიის ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად.

კომპანიის ბიზნესმოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორიც არის, მაგალითად:

როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;

რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;

რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);

მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის ბიზნეს მოდელის შესაფასებლად.

ბიზნესმოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით საწარმოს მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნესმოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

*მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება*

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარად ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია).

ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი.

ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

*გაცემული სესხები და მოთხოვნები*

2018 წლის 1 იანვრამდე, გაცემული სესხები და მოთხოვნები წარმოადგენდნენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყვნენ კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ იყო განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ იყო კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. ასეთი აქტივები აღირიცხებოდა ამორტიზირებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდებოდა მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდებოდა სესხებისა და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტა ან გაუფასურება, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

*ფინანსური აქტივების გაუფასურება ბასს 39-ის მიხედვით*

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია აფასებდა, ყოველ საანგარიშგებო თარიღისთვის, არსებობდა თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურდებოდა. ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებლად მიიჩნეოდა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობდა რაიმე მოვლენით (ან მოვლენებით) გამოწვეული გაუფასურების არსებობის ობიექტური მტკიცებულება, რომელიც (რომლებიც) დადგა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ზარალის დადგომის შემთხვევა (ან შემთხვევებს) გავლენა ჰქონდა ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა საწრმოუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელი იყო. გაუფასურების მტკიცებულება შეიძლება ყოფილიყო იმის ნიშნები, რომ მსესხებელი ან მსესხებელთა ჯგუფი განიცდიდა მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არ იხდიდა ან აგვიანებდა სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდას, არსებობდა გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებდა მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორიცაა ცვლილებები ვადაგადაცილებული გადახდების

დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა. გასაყიდად გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, გაუფასურების ნიშანი ასევე არის ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი შემცირება მის თვითღირებულებაზე ნაკლებ ოდენობამდე.

კომპანია მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, ინდივიდუალურად, ხოლო ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში კოლექტიურად აფასებდა, არსებობდა თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი.

თუ დადგინდებოდა, რომ არსებობს გაუფასურების ობიექტური საფუძველი, ხდებოდა ზარალის ოდენობის დაანგარიშება, რაც წარმოადგენდა სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას (ჯერ არ მომხდარი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოკლებით) დადისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივებისთვის სხვაობას სამართლიან ღირებულებასა და ინვესტიციის ღირებულებას შორის. აქტივის ღირებულება მცირდებოდა და ზარალი აისახებოდა მოგება ზარალის ანგარიშში. საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდებოდა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დარიცხვით შემცირებულ ძირზე, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში გამოიყენებოდა გაუფასურების ზარალის ოდენობის დასათვლელად სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის გამოყენებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

უიმედო აქტივები ჩამოიწერებოდა გაუფასურების შესაბამისი რეზერვიდან და ხდებოდა უზრუნველყოფების რეალიზაცია ან კომპანიისათვის გადაცემა. თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი შემცირდებოდა და ეს შემცირება ობიექტურად უკავშირდებოდა გაუფასურების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდებოდა მანამდე აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა. მოგება ზარალის ანგარიშში, გარდა გასაყიდად არსებული ინვესტიციებისა, რომელთა შემთხვევაშიც სამართლიან ღირებულებაში ზრდა გაუფასურების შემდეგ აღიარდებოდა სხვა სრული შემოსავლის ფარგლებში.

გაუფასურების კოლექტიური შეფასების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები ჯგუფდებოდა კომპანიის პროდუქტების მონიტორინგის შიდა სისტემის მიხედვით, რაც მოიცავდა საკრედიტო რისკის ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა აქტივის სახეობა, ინდუსტრია, უზრუნველყოფილი საგნის სახეობა, ვადაგადაცილების სტატუსი და სხვა შესაბამისი ფაქტორები.

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განისაზღვრა მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალის გამოცდილება დაკორექტირდა არსებული ემპირიული მონაცემების მიხედვით, რათა აესახა დღევანდელი

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

პირობების ეფექტი, რომელიც არ მოქმედებდა იმ წლებზე, საიდანაც მიღებულია ისტორიული ზარალის გამოცდილება და უგულებელყოფილიყო წინა პერიოდში არსებული იმ პირობების ეფექტი, რომელიც დღეისათვის აღარ არსებობს. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავდა და უკავშირდებოდა წლიდან წლამდე შესაბამის ემპირიულ მონაცემებში მომხდარ ცვლილებებს (როგორიცაა უმუშევრობის განაკვეთი, უძრავი ქონების ფასი, საქონლის ფასი, გადახდისუნარიანობა და სხვა ფაქტორები, რომლებიც ჯგუფში განცდილი ზარალის ან მისი მასშტაბის განმსაზღვრელი იყო).

რეგულარულად ხდებოდა სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების იმ მეთოდოლოგიის და დაშვებების გადახედვა, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, რათა შემცირებულიყო სხვაობა მოსალოდნელ და ფაქტობრივ ზარალს შორის. 2018 წლის 1 იანვრიდან კი ბასს 39 ჩანაცვლდა ფასს 9-ით.

ფასს 9-ის მიხედვით გაუფასურების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნა 7-ში.

#### ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

##### ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;

კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და

კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

##### ჩამოწერა

2018 წლის 1 იანვრიდან ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც კომპანია შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

##### ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

#### ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს.

#### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. თავდაპირველი ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებლისა და არანაზღაურებადი შემენის გადასახდების, ასევე სხვა პირდაპირ მიკუთვნებული გადასახადების ჩათვლით. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეული შეადგენს მთავარ კომპონენტებს, რომელსაც აქვს ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა, ისინი ითვლება, როგორც ცალკეული ძირითადი საშუალების ერთეული.

შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის:

#### ძირითადი საშუალების ჯგუფი

#### სასარგებლო მომსახურების ვადა

ოფისის აღჭურვილობა

5 წელი

ძირითადი საშუალების ერთეული ჩამოიწერება ლიკვიდაციისას ან როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისებისგან აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის ჩამოწერისას (გაანგარიშებული, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და აქტივების საანგარიშო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც აქტივი ჩამოიწერება.

ძირითადი საშუალებები რომელიც შეძენილია კომპანიის მიერ და რომელთაც აქვთ განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადები, ნაჩვენებია საბალანსო ღირებულებით, დაგროვილი საამორტიზაციო და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

#### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები შედგება კაპიტალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიებისგან, რომელიც კაპიტალიზდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენაზე და სასარგებლო მდგომარეობაში მოყვანაზე გაწეული ხარჯების საფუძველზე. სხვა ყველა ხარჯი, მაგალითად ტექნიკური მომსახურება, აღიარდება ხარჯად მათი გაწევისთანავე. არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რომელიც კომპანიის მიერ განსაზღვრულია 5 წლით.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ გაუფასურების ზარალი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების ზარალი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

#### საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი შედგება დამფუძნებლების მიერ კაპიტალში განხორციელებული შენატანებისგან და დაგროვილი მოგებისგან. მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებს არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის შესაბამისადაც 2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციების განადგებული კაპიტალის ოდენობა არ უნდა იყოს 500,000 ლარზე ნაკლები (2017: 250,000 ლარზე ნაკლები). განადგებული კაპიტალი მხოლოდ ფულადი ფორმით უნდა იყოს შევსებული. დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნა N18 - ში.

#### დივიდენდი

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

#### შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლისა ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდით, საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებში კლასიფიცირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.<sup>1</sup>

საზღაურები, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავენ საზღაურებს, რომლებიც მიღებულ ან გადახდილ იქნა სუბიექტის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასა ან შეძენასთან ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან დაკავშირებით, მაგალითად როგორც კრედიტუნარიანობის დადგენისთვის, გარანტიებისა თუ უზრუნველყოფის შეფასებისთვის, ინსტრუმენტის პირობების შეთანხმებისთვის და გარიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამუშავების საზღაურები.

### 4. გამოცემული ფასს სტანდარტები, რომლებიც ჯერ ძალაში არ შესულა

#### 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფაისკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა – სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის – „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე.ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებული არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი. მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მოიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მოიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიყენებს ორი ტიპის იჯარას:

#### 4. გამოცემული ფასის სტანდარტები რომლებიც ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

საოპერაციოს და ფინანსურს. ფასს 16, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, მოიჯარეებს და მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა. კომპანია ფასს 16-ის მიღებას აპირებს რეტროსპექტულად, ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენების ჯამური (კუმულაციური) ეფექტით, რომელიც აღიარებულია

თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის. კომპანია გადაწყვეტს სტანდარტის გამოყენებას იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე, ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის გამოყენებით, იჯარებად განისაზღვრებოდა. ამიტომ კომპანია არ გამოიყენებს სტანდარტს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე არ განისაზღვრებოდა იჯარის შემცველად ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის გამოყენებით. კომპანია გადაწყვეტს სტანდარტით გათვალისწინებული გამონაკლისების გამოყენებას იმ საიჯარო კონტრაქტებზე, რომელთა მიხედვითაც, იჯარის ვადა მთავრდება 12 თვეში თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, და აგრეთვე იმ საიჯარო კონტრაქტებზე, რომელთა საბაზისო აქტივი დაბალი ღირებულებისაა. კომპანიის იჯარით აქვს აღებული ოფისი, რომელიც ნაწილი გაფორმებულია 1 წელზე მეტი ვადით. კომპანია ამჟამად აფასებს ფასს 16-ის მიღების გავლენას, მაგრამ ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის არ მოელის, რომ ამ სტანდარტს რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა ექნება მის საკუთარ კაპიტალზე.

ფასიკ (IFRIC) 23-ის ინტერპრეტაცია – „მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვევლობა“ ინტერპრეტაცია ეხება მოგების გადასახადების აღრიცხვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო დაბეგვრა შეიცავს გაურკვევლობას, რაც გავლენას ახდენს ბასს 12-ის გამოყენებაზე. იგი არ ვრცელდება ბასს 12-ის მოქმედების არეალის მიღმა მყოფ გადასახადებზე და მოსაკრებლებზე, ამასთან იგი არ მოიცავს კონკრეტულ მოთხოვნებს გაურკვევლობის შემცველ საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებული ჯარიმებისა თუ საურავების შესახებ. ინტერპრეტაცია კონკრეტულად მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- კომპანია ინდივიდუალურად განიხილავს თუ არა გაურკვეველი საგადასახადო დაბეგვრის წესებს;
- დაშვებები, რომლებსაც კომპანია აკეთებს საგადასახადო ორგანოების მიერ გამოყენებული საგადასახადო დაბეგვრის წესების შემოწმების შესახებ;
- როგორ განსაზღვრავს კომპანია დასაბეგრ მოგებას (საგადასახადო ზარალს), საგადასახადო ბაზებს, გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებს და საგადასახადო განაკვეთებს;
- როგორ განიხილავს კომპანია ცვლილებების შეტანას ფაქტებსა და გარემოებებში.

კომპანიამ უნდა განსაზღვროს, გაურკვევლობის შემცველი თითოეული საგადასახადო დაბეგვრის შემთხვევა ცალკე განიხილოს, თუ გაურკვევლობის შემცველ ერთ ან მეტ საგადასახადო დაბეგვრასთან ერთად. ამას უნდა მოჰყვეს მიდგომა, რომელიც უკეთესად ახდენს გაურკვევლობის გადაწყვეტის პროგნოზირებას. ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა მასზე გადასვლის გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს. კომპანია ინტერპრეტაციას გამოიყენებს მისი ძალაში შესვლის თარიღიდან. კომპანია ვარაუდობს რომ ინტერპრეტაციას არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა მის კაპიტალზე.

#### 4. გამოცემული ფასს სტანდარტები რომლებიც ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

*ცვლილებები ფასს 9-ში: „საავანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით“*

ფასს 9-ის მიხედვით, სავალო ინსტრუმენტი შეიძლება შეფასდეს ან ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იმ პირობით, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხის და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდას“ („SPPI კრიტერიუმი“) და რომ ინსტრუმენტი ამ კლასიფიკაციის შესაბამისი ბიზნესმოდელის ფარგლებშია ფლობილი. ფასს 9-ში შესული ცვლილებები განმარტავს, რომ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმს მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენა ან გარემოება, რომელიც იწვევს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას და განურჩევლად იმისა, თუ რომელი მხარე იხდის ან იღებს გონივრულ კომპენსაციას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისთვის.

ცვლილებები გამოყენებული უნდა იქნეს რეტროსპექტულად და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. ეს ცვლილებები გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

#### 5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა და პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისათვის.

**ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი:** გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც ფასს 9 - ის, ასევე ბასს 39 - ის შესაბამისად, ფინანსური აქტივების ყველა კატეგორიისთვის საჭიროებს განსჯის გამოყენებას, კერძოდ სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობისა და ვადების, ასევე უზრუნველყოფის საგნის ღირებულების პროგნოზირებას გაუფასურების ზარალის განსაზღვრისას და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებას. ეს პროგნოზი ეყრდნობა რამდენიმე ფაქტორს, რომელთა ცვლილებამ შესაძლოა განაპირობოს რეზერვის სხვადასხვა დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაანგარიშებლად კომპანია იყენებს ვადაგადაცილებულ დღეებზე დაფუძნებულ მოდელს, რომელიც ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას. კომპანია ასევე ითვალისწინებს უზრუნველყოფის საგნიდან ამოღებად თანხას, რომლითაც ამცირებს რეზერვის მოცულობას. კომპანიას აქვს შიდა საკრედიტო რეიტინგი, რომლის მიხედვითაც სესხები იყოფა ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით სხვადასხვა ჯგუფებად და ენიჭება დეფოლტის ალბათობა.

**საგადასახადო კანონმდებლობა:** საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა.

#### 5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

**გადასახადები:** გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებულია გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისათვის იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია, რომ დაბეგვრადი მოგება ხელმისაწვდომი იყოს, რომლის მიმართ დანაკარგები იქნება გამოყენებული. ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები საჭიროა იმ გადადებული საგადასახადო აქტივების ოდენობის დასადგენად, რომელიც შესაძლოა აღიარებული იყოს, მსგავსი დროის გრაფიკის და მომავალი დასაბეგრი მოგების დონის საფუძველზე, სამომავლო საგადასახადო გეგმიურ სტრატეგიებთან ერთად. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნდა არაარსებითი გადავადებული გადასახადის ნაშთები და მათი ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში არ მიიჩნია მნიშვნელოვნად.

**ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადები:** კომპანიამ იმსჯელა ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადების დადგენაზე, იმ ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა: ტექნიკური ან კომერციული დაძველება, აქტივების მოსალოდნელ ფიზიკური მწარმოებლურობის მოცულობასთან და მოსალოდნელ ფიზიკურ ამორტიზაციასთან კავშირში, რაც დამოკიდებულია საწარმოო ფაქტორებზე, მიუხედავად იმისა რომ მენეჯმენტმა განახორციელა თავისი საუკეთესო შეფასებები აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სტრუქტურის შესაქმნელად, იგი შესაძლოა არსებითად განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებიდან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ციფრებზე.

6. ფული და ფულის ექვივალენტები

|                                        | 31 დეკემბერი 2018 | 31 დეკემბერი 2017 |
|----------------------------------------|-------------------|-------------------|
| მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში  | 174,440           | 143,202           |
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში            | 95,800            | 65,671            |
| მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტაში   | 26,491            | 7,359             |
| ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში             | 17,068            | 6,001             |
| <b>სულ ფული და ფულის ექვივალენტები</b> | <b>313,779</b>    | <b>222,233</b>    |

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო. სალაროში ფულის და ფულის ექვივალენტების მნიშვნელოვანი ნაშთის ქონა განპირობებულია კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე, რადგან კომპანიის ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ემსახურება თავის მომხმარებელს 24 საათის განმავლობაში.

7. გაცემული სესხები

|                                                                  | 31 დეკემბერი 2018 | 31 დეკემბერი 2017 |
|------------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი | 406,647           | 279,235           |
| ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - ძვირფასეულობით უზრუნველყოფილი | 17,296            | 23,653            |
| დარიცხული და მიუღებელი პროცენტი                                  | 5,981             | 6,318             |
| <b>სულ გაცემული სესხები გაუფასურებამდე</b>                       | <b>429,924</b>    | <b>309,206</b>    |
| სესხის გაუფასურების რეზერვი                                      | (7,733)           | (15,144)          |
| <b>სულ გაცემული სესხები გაუფასურების შემდეგ</b>                  | <b>422,191</b>    | <b>294,062</b>    |

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გადანაწილება ეკონომიკური სექტორების მიხედვით შემდეგია:

|                                                                  | 31 დეკემბერი 2018 |             | 31 დეკემბერი 2017 |             |
|------------------------------------------------------------------|-------------------|-------------|-------------------|-------------|
|                                                                  | ნაშთი             | %           | ნაშთი             | %           |
| ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი | 412,483           | 96%         | 285,060           | 92%         |
| ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - ძვირფასეულობით უზრუნველყოფილი | 17,441            | 4%          | 24,146            | 8%          |
| <b>სულ გაცემული სესხები გაუფასურებამდე</b>                       | <b>429,924</b>    | <b>100%</b> | <b>309,206</b>    | <b>100%</b> |

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო“  
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)  
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ქართულ ლარში)

7. გაცემული სესხები (გაგრძელება)

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

|                                                          | უძრავი ქონებით<br>უზრუნველყოფილი<br>სესხები | ძვირფასეულობით<br>უზრუნველყოფილი<br>სესხები | სულ      |
|----------------------------------------------------------|---------------------------------------------|---------------------------------------------|----------|
| გაუფასურების რეზერვი 2018 წლის 1 იანვარის მდგომარეობით   | (15,144)                                    | -                                           | (15,144) |
| წლის განმავლობაში სესხების რეზერვის ცვლილება             | 7,566                                       | (155)                                       | 7,411    |
| გაუფასურების რეზერვი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | (7,578)                                     | (155)                                       | (7,733)  |

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

|                                                          | უძრავი ქონებით<br>უზრუნველყოფილი<br>სესხები | სულ      |
|----------------------------------------------------------|---------------------------------------------|----------|
| გაუფასურების რეზერვი 2017 წლის 1 იანვარის მდგომარეობით   | -                                           | -        |
| წლის განმავლობაში სესხების რეზერვის ცვლილება             | (15,144)                                    | (15,144) |
| გაუფასურების რეზერვი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | (15,144)                                    | (15,144) |

სესხის საკრედიტო ხაზის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

|                                                                              | უძრავი ქონებით<br>უზრუნველყოფილი<br>სესხები | ძვირფასეულობით<br>უზრუნველყოფილი<br>სესხები | სულ     |
|------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------|---------------------------------------------|---------|
| ფიზიკურ პირებზე<br>გაცემული სესხები - ახალი<br>კლიენტები.                    | 351,026                                     | 3,948                                       | 354,974 |
| ფიზიკურ პირებზე<br>გაცემული სესხები - 1<br>წელზე მეტი საკრედიტო<br>ისტორიით. | 68,644                                      | 6,306                                       | 74,950  |
| სულ გაცემული სესხები                                                         | 419,670                                     | 10,254                                      | 429,924 |
| გაუფასურებამდე<br>სესხის გაუფასურების<br>რეზერვი                             | (7,578)                                     | (155)                                       | (7,733) |
| სულ გაცემული სესხები<br>გაუფასურების შემდეგ                                  | 412,092                                     | 10,099                                      | 422,191 |

## 7. გაცემული სესხები (გაგრძელება)

სესხის საკრედიტო ბაზის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

|                                                                              | უძრავი ქონებით<br>უზრუნველყოფილი<br>სესხები | ძვირფასეულობით<br>უზრუნველყოფილი<br>სესხები | სულ      |
|------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------|---------------------------------------------|----------|
| ფიზიკურ პირებზე<br>გაცემული სესხები - ახალი<br>კლიენტები.                    | 42,759                                      | -                                           | 42,759   |
| ფიზიკურ პირებზე<br>გაცემული სესხები - 1<br>წელზე მეტი საკრედიტო<br>ისტორიით. | 242,301                                     | 24,146                                      | 266,447  |
| სულ გაცემული სესხები<br>გაუფასურებამდე                                       | 285,060                                     | 24,146                                      | 309,206  |
| გაუფასურების რეზერვი                                                         | (15,144)                                    | -                                           | (15,144) |
| სულ გაცემული სესხები<br>გაუფასურების შემდეგ                                  | 269,916                                     | 24,146                                      | 294,062  |

გაცემული სესხების ანალიზი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

|                                               | უძრავი ქონებით<br>უზრუნველყოფილი<br>სესხები | ძვირფასეულობით<br>უზრუნველყოფილი<br>სესხები | სულ     |
|-----------------------------------------------|---------------------------------------------|---------------------------------------------|---------|
| 30 დღემდე ვადაგადაცილებული<br>სესხები         | 379,739                                     | 9,684                                       | 389,423 |
| 30-დან 60 დღემდე<br>ვადაგადაცილებული სესხები  | 39,931                                      | 480                                         | 40,411  |
| 60-დან 90 დღემდე<br>ვადაგადაცილებული სესხები  | -                                           | 50                                          | 50      |
| 90-დან 180 დღემდე<br>ვადაგადაცილებული სესხები | -                                           | 40                                          | 40      |
| სულ გაცემული სესხები<br>გაუფასურებამდე        | 419,670                                     | 10,254                                      | 429,924 |
| გაუფასურების რეზერვი                          | (7,578)                                     | (155)                                       | (7,733) |
| სულ გაცემული სესხები<br>გაუფასურების შემდგომ  | 412,092                                     | 10,099                                      | 422,191 |

გაცემული სესხები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს გადავადებულ საკომისიო შემოსავალს ჯამურად 4,034 ლარს (2017: 1,830 ლარს).

#### 7. გაცემული სესხები (გაგრძელება)

გაცემული სესხების ანალიზი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

|                                               | უძრავი ქონებით<br>უზრუნველყოფილი<br>სესხები | ძვირფასეულობით<br>უზრუნველყოფილი<br>სესხები | სულ      |
|-----------------------------------------------|---------------------------------------------|---------------------------------------------|----------|
| 30 დღემდე ვადაგადაცილებული<br>სესხები         | 151,363                                     | 22,727                                      | 174,090  |
| 30-დან 60 დღემდე<br>ვადაგადაცილებული სესხები  | -                                           | -                                           | -        |
| 60-დან 90 დღემდე<br>ვადაგადაცილებული სესხები  | 60,707                                      | 463                                         | 61,170   |
| 90-დან 180 დღემდე<br>ვადაგადაცილებული სესხები | 73,946                                      | -                                           | 73,946   |
| სულ გაცემული სესხები                          | 286,016                                     | 23,190                                      | 309,206  |
| გაუფასურებამდე                                | (15,144)                                    | -                                           | (15,144) |
| გაუფასურების რეზერვი                          | 270,872                                     | 23,190                                      | 294,062  |

#### 8. სხვა აქტივები

სხვა აქტივების შედგება დასაკუთრებული ქონებისგან, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 43,555 ლარს, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 66,771 ლარს.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო“  
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)  
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ქართულ ლარში)

9. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური ქონება

| ისტორიული ღირებულება        | ოფისის<br>აღჭურვილობა | არამატერიალური<br>აქტივები |
|-----------------------------|-----------------------|----------------------------|
| 2016 წლის 31 დეკემბერი      | 9,919                 | 2,165                      |
| შეძენა 2017 წელს            | 7,226                 | -                          |
| 2017 წლის 31 დეკემბერი      | 17,145                | 2,165                      |
| შეძენა 2018 წელს            | 5,534                 | 4,360                      |
| 2018 წლის 31 დეკემბერი      | 22,679                | 6,525                      |
| დაგროვილი ცვეთა             |                       |                            |
| 2016 წლის 31 დეკემბერი      | (7,001)               | (865)                      |
| 2017 წლის ცვეთა             | (1,797)               | (335)                      |
| 2017 წლის 31 დეკემბერი      | (8,798)               | (1,200)                    |
| 2018 წლის ცვეთა             | (2,377)               | (1,078)                    |
| 2018 წლის 31 დეკემბერი      | (11,175)              | (2,278)                    |
| წმინდა საბალანსო ღირებულება |                       |                            |
| 2016 წლის 31 დეკემბერი      | 2,918                 | 1,300                      |
| 2017 წლის 31 დეკემბერი      | 8,347                 | 965                        |
| 2018 წლის 31 დეკემბერი      | 11,504                | 4,247                      |

10. საწესდებო კაპიტალი

2017 წელს საწესდებო კაპიტალი შეივსო 49,066 ლარით, ხოლო 2018 წლის 3 აგვისტოს დამფუძნებლების მიერ ფულადი შენატანის სახით საწესდებო კაპიტალი შეივსო 157,155 ლარით, ასევე 24 სექტემბერს კაპიტალში შენატანმა შეადგინა 101,980 ლარი, რის შემდეგაც საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 734,725 ლარი. საანგარიშგებო თარიღის შემდგომ განხორციელებულ ოპერაციებზე ინფორმაცია მოცემულია 21-ე განმარტებით შენიშვნაში, მათ შორის კაპიტალის შევსებაზე.

11. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

|                                                 | საპროცენტო<br>შემოსავალი | საკომისიო<br>შემოსავალი | 2018    | საპროცენტო<br>შემოსავალი | საკომისიო<br>შემოსავალი | 2017    |
|-------------------------------------------------|--------------------------|-------------------------|---------|--------------------------|-------------------------|---------|
|                                                 |                          |                         | სულ     |                          |                         | სულ     |
| შემოსავლები უძრავი<br>ქონებით                   |                          |                         |         |                          |                         |         |
| უზრუნველყოფილი<br>სესხებიდან.                   | 59,747                   | 2,871                   | 62,618  | 93,848                   | 85                      | 93,933  |
| ძვირფასეულობით<br>უზრუნველყოფილი<br>სესხებიდან. | 3,768                    | -                       | 3,768   | 7,011                    | -                       | 7,011   |
| სულ საპროცენტო და<br>საკომისიო<br>შემოსავალი    | 63,515                   | 2,871                   | 66,386  | 100,859                  | 85                      | 100,944 |
| საპროცენტო ხარჯი                                |                          |                         | (5,969) |                          |                         | (7,408) |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი                    |                          |                         | 60,417  |                          |                         | 93,536  |

## 12. სხვა შემოსავლები

|                                                   | 2018     | 2017 |
|---------------------------------------------------|----------|------|
| შემოსავალი დასაკუთრებული ქონების რეალიზაციიდან    | 29,700   | -    |
| დასაკუთრებული ქონების თვითღირებულება              | (26,623) | -    |
| წმინდა მოგება დასაკუთრებული ქონების რეალიზაციიდან | 3,077    | -    |

დასაკუთრებული ქონება იპოთეკური სესხის უზრუნველყოფას წარმოადგენდა, რომელიც შემდგომში კომპანიამ ელექტრონული აუქციონით შეისყიდა.

## 13. სხვა ხარჯები

|                         | 2018   | 2017   |
|-------------------------|--------|--------|
| საკომუნიკაციო ხარჯი     | 5,318  | 8,113  |
| რეკლამის ხარჯი          | 4,327  | 6,601  |
| საკანცელარიო ხარჯი      | 2,993  | 4,625  |
| კომუნალური ხარჯი        | 2,165  | 3,302  |
| ჯარიმები                | 2,000  | 3,051  |
| წარმომადგენლობითი ხარჯი | 414    | 632    |
| ბანკის საკომისიო ხარჯი  | 363    | 555    |
| სულ სხვა ხარჯები        | 17,580 | 26,879 |

## 14. საკონსულტაციო ხარჯი

|                                 | 2018   | 2017   |
|---------------------------------|--------|--------|
| აუდიტის ხარჯი                   | 7,500  | 9,000  |
| იურიდიული მომსახურების ხარჯი    | 5,370  | -      |
| კომპიუტერული მომსახურების ხარჯი | 1,077  | -      |
| თარგმნის ხარჯი                  | 735    | -      |
| უძრავი ქონების შეფასების ხარჯი  | 600    | -      |
| ნოტარიუსის ხარჯი                | 352    | -      |
| სხვა საკონსულტაციო ხარჯი        | 1,378  | 9,275  |
| სულ საკონსულტაციო ხარჯი         | 17,012 | 18,275 |

## 15. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი) წლების მიხედვით.

|                                               | 2018     | 2017     |
|-----------------------------------------------|----------|----------|
| კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი    | 61,784   | 56,944   |
| კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი        | (70,734) | (78,818) |
| წმინდა მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან | (8,950)  | (21,874) |

#### 16. მოგების გადასახადის ხარჯი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღად თავდაპირველად განისაზღვრა 2019 წლის 1 იანვარი. 2018 წლის 5 მაისს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება და თარიღმა გადაიწია 2023 წლის იანვრამდე. ახალი რეგულაციის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდის სახით იმ ფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნება არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე დასარიცხი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებულ თანხაზე  $(1/85\% \cdot 15\%)$  ოდენობის დარიცხვით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008 – 2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია მე - 5 განმარტებით შენიშვნაში.

#### 17. ფინანსური რისკის მართვა

კომპანია დგას სხვადასხვა სახის რისკების წინაშე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანიის მიერ გამოყენებული და საკრედიტო რისკთან დაკავშირებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

|                                                                           | შენიშვნა | 31 დეკემბერი<br>2018 | 31 დეკემბერი<br>2017 |
|---------------------------------------------------------------------------|----------|----------------------|----------------------|
| ფული და ფულის ექვივალენტები<br>(სალაროში არსებული ნაღდი ფულის გამოკლებით) | 6        | 200,931              | 150,561              |
| კლიენტებზე გაცემული სესხები                                               | 7        | 429,904              | 309,206              |
| <b>სულ საკრედიტო რისკის საფრთხე</b>                                       |          | <b>630,835</b>       | <b>459,767</b>       |

ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის საკრედიტო რისკების მაქსიმალურ მგრძნობელობას 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სადაც არ არის გათვალისწინებული უზრუნველყოფა და კრედიტის დაცვის სხვა ზომები. საბალანსო აქტივების საკრედიტო რისკის მგრძნობიარობა დაფუძნებულია საბალანსო ღირებულებაზე რომელიც მითითებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

#### 17. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

გაცემულ სესხებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი შემდეგია:

31 დეკემბერი 2018      31 დეკემბერი 2017

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო“  
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)  
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ქართულ ლარში)

|                                                                  | ნაშთი          | %           | ნაშთი          | %           |
|------------------------------------------------------------------|----------------|-------------|----------------|-------------|
| ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი | 412,483        | 96%         | 285,060        | 92%         |
| ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - მგირფასეულობით უზრუნველყოფილი | 17,441         | 4%          | 24,146         | 8%          |
| <b>სულ გაცემული სესხები გაუფასურებამდე</b>                       | <b>429,924</b> | <b>100%</b> | <b>309,206</b> | <b>100%</b> |

კომპანია განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძოზიარობას.

საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა)საპროცენტო რისკში (ბ)სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძოზიარობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

| 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით |                  |                       |                       |
|-------------------------------------|------------------|-----------------------|-----------------------|
|                                     | ფინანსური აქტივი | ფინანსური ვალდებულება | ნეტო ფინანსური აქტივი |
| აშშ დოლარი                          | 46,055           | -                     | 46,055                |
| ევრო                                | 1,783            | -                     | 1,783                 |
| <b>სულ</b>                          | <b>47,838</b>    | <b>-</b>              | <b>47,838</b>         |

ქვემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს . არაფულადი აქტივებში ინვესტიციები არ გამოიწვევს მნიშვნელოვან სავალუტო რისკს.

| 31 დეკემბერი 2018              |         |
|--------------------------------|---------|
| ზეგავლენა მოგება-ზარალზე       |         |
| აშშ დოლარის 10%-ით გამყარება   | 4,605   |
| აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება | (4,605) |
| ევროს 10 %-ით გამყარება        | 178     |
| ევროს 10 %-ით გაუფასურება      | (178)   |

| 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით |                  |                       |                       |
|-------------------------------------|------------------|-----------------------|-----------------------|
|                                     | ფინანსური აქტივი | ფინანსური ვალდებულება | ნეტო ფინანსური აქტივი |
| აშშ დოლარი                          | 13,360           | -                     | 13,360                |
| ევრო                                | -                | -                     | -                     |
| <b>სულ</b>                          | <b>13,360</b>    | <b>-</b>              | <b>13,360</b>         |

#### 17. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს . არაფულადი აქტივებში ინვესტიციები არ გამოიწვევს მნიშვნელოვან სავალუტო რისკს.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო“  
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)  
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ქართულ ლარში)

|                                | 31 დეკემბერი 2017        |
|--------------------------------|--------------------------|
|                                | ზეგავლენა მოგება-ზარალზე |
| აშშ დოლარის 10%-ით გამყარება   | 133,6                    |
| აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება | (133,6)                  |
| ევროს 10 %-ით გამყარება        | -                        |
| ევროს 10 %-ით გაუფასურება      | -                        |

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკი ეხება სესხების გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს, მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების დარეგულირება არსებითად მნიშვნელოვანია.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

|                              | 1 წლამდე | 1 დან 3 წლამდე | 3 წლიდან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | სულ      |
|------------------------------|----------|----------------|-------------------|--------------|----------|
| ფინანსური აქტივები           |          |                |                   |              |          |
| ფული და ფულის ეკვივალენტები  | 313,799  | -              | -                 | -            | 313,799  |
| პროცენტთან აქტივები          |          |                |                   |              |          |
| გაცემული სესხები             | 8,135    | 8,576          | 160,979           | 244,501      | 422,191  |
| სულ ფინანსური აქტივები       | 321,934  | 8,576          | 160,979           | 244,501      | 735,990  |
| ფინანსური ვალდებულებები      |          |                |                   |              |          |
| მიღებული სესხები             | (58,765) | -              | -                 | -            | (58,765) |
| სულ პროცენტთან ვალდებულებები | (58,765) | -              | -                 | -            | (58,765) |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | (7,500)  | -              | -                 | -            | (7,500)  |
| სულ ფინანსური ვალდებულებები  | (66,265) | -              | -                 | -            | (66,265) |
| ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია  | 255,669  | 8,576          | 160,979           | 244,501      | 669,725  |

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო“  
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)  
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ქართულ ლარში)

17. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

|                              | 1 წლამდე | 1 დან 3 წლამდე | 3 წლიდან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | სულ      |
|------------------------------|----------|----------------|-------------------|--------------|----------|
| ფინანსური აქტივები           |          |                |                   |              |          |
| ფული და ფულის ეკვივალენტები  | 222,233  | -              | -                 | -            | 222,233  |
| პროცენტთან აქტივები          |          |                |                   |              |          |
| გაცემული სესხები             | 294,062  | -              | -                 | -            | 294,062  |
| სულ ფინანსური აქტივები       | 516,295  | -              | -                 | -            | 516,295  |
| ფინანსური ვალდებულებები      |          |                |                   |              |          |
| მიღებული სესხები             | (52,796) | -              | -                 | -            | (52,796) |
| სულ პროცენტთან ვალდებულებები | (52,796) | -              | -                 | -            | (52,796) |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | -        | -              | -                 | -            | -        |
| სულ ფინანსური ვალდებულებები  | (52,796) | -              | -                 | -            | (52,796) |
| ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია  | 463,499  | -              | -                 | -            | 463,499  |

#### 18. კაპიტალის მართვა

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია 2108 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანის მიერ მოთხოვნილი მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნის ადეკვატურობის ანალიზი, საიდანაც დგინდება კაპიტალის ადეკვატურობა მოთხოვნებთან მიმართებაში.

|                                              | 31 დეკემბერი 2018 | 31 დეკემბერი 2017 |
|----------------------------------------------|-------------------|-------------------|
| საწესდებო კაპიტალი                           | 734,725           | 475,590           |
| გაუნაწილებელი მოგება                         | (33,573)          | 51,710            |
| <b>მთლიანი კაპიტალი:1</b>                    | <b>701,152</b>    | <b>527,300</b>    |
| სესხების რეზერვი                             | 7,733             | 15,144            |
| სხვა რეზერვი                                 | -                 | -                 |
| <b>სულ რეზერვები:2</b>                       | <b>7,733</b>      | <b>15,144</b>     |
| სუბორდინირებული სესხები                      | -                 | -                 |
| არამატერიალური აქტივები                      | 4,247             | 2,165             |
| არამატერიალური აქტივის დაგროვილი ამორტიზაცია | (1,087)           | (1,200)           |
| <b>სულ არამატერიალური აქტივები:3</b>         | <b>3,160</b>      | <b>965</b>        |
| <b>საზედამხედველო კაპიტალი: (1-2-3)</b>      | <b>690,259</b>    | <b>511,191</b>    |

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მინიმალური ლიმიტი საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად შეადგენდა 500,000 ლარს. 2017 წლის 31 დეკემბრისთვის მინიმალური ლიმიტი შეადგენდა 250,000 ლარს.

#### 19. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

##### ა) საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები

კომპანია მომავალში გადაიხდის საიჯარო გადასახადს შეუქცევად საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებით, შემდეგი მინიმალური ოდენობით 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| მინიმალური საიჯარო გადასახადი            | 31 დეკემბერი 2018 | 31 დეკემბერი 2017 |
|------------------------------------------|-------------------|-------------------|
| 1 წლამდე                                 | 35,331            | 34,217            |
| 1 დან 3 წლამდე                           | 64,774            | 68,434            |
| 3 წლიდან 5 წლამდე                        | -                 | 28,514            |
| <b>სულ მინიმალური საიჯარო გადასახადი</b> | <b>100,105</b>    | <b>131,165</b>    |

##### ბ) დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

19. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები (გაგრძელება)

ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ დამფუძნებლები და უმაღლესი ხელმძღვანელობა.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ტრანზაქციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან.

|                                                         | 2018                 | 2017                 |
|---------------------------------------------------------|----------------------|----------------------|
| უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება                    | 19,903               | 13,468               |
| სულ პერსონალის ხარჯი                                    | 67,318               | 45,554               |
|                                                         | 2018                 | 2017                 |
| დამფუძნებლისგან მიღებული სესხზე დარიცხული პრემიის ხარჯი | 5,969                | 7,408                |
| სულ საპროცენტო ხარჯი                                    | 5,969                | 7,408                |
|                                                         | 31 დეკემბერი<br>2018 | 31 დეკემბერი<br>2017 |
| დამფუძნებლისგან მიღებული სესხი                          | 58,765               | 52,796               |
| სულ მიღებული სესხები                                    | 58,765               | 52,796               |

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 21 ივნისს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას:

2019 წლის 11 ივნისს კომპანიის დამფუძნებლებმა საწესდებო კაპიტალში შეიტანეს 315,000 ლარი, რითაც გაზარდეს საკუთარი კაპიტალი.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია

ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო“

მმართველობის ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

## შინაარსი

|                                                            |   |
|------------------------------------------------------------|---|
| დამოუკიდებელი აუდიტორის წერილი                             | 3 |
| <b>მმართველობის ანგარიშგება</b>                            |   |
| კომპანიის ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა            | 4 |
| ფილიალები, შეთავაზებული პროდუქტები და პორტფელი             | 5 |
| მომხმარებელთა უფლებების დაცვა                              | 6 |
| საპროცენტო განაკვეთების დინამიკა                           | 6 |
| ფინანსური მაჩვენებლები                                     | 7 |
| 2018 წელს ჩამოყალიბებული ბიზნეს გარემოს გავლენა და რისკები | 7 |
| განვითარების გეგმები                                       | 8 |

---

## **ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის („კანონი“) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული მოსაზრება**

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისოს“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

ჩვენ ჩავატარეთ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის და გამოვეცით აუდიტორული დასკვნა პირობითი მოსაზრებით 2019 წლის 21 ივნისს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს 2019 წლის 21 ივნისის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავგიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

### **სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება**

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნა არ წარმოგვიდგენია მასზე 2019 წლის 21 ივნისს. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ.

### **დასკვნა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე**

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვედნილი ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის თუ არა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

### **მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე**

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედნილია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

მალხაზ უჯმაჯურიძე

შპს „ნექსია თივის“ სახელით

23 სექტემბერი 2019

თბილისი, საქართველო

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის („კანონი“) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული მოსაზრება

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისოს“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

ჩვენ ჩავატარეთ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის და გამოვეცით აუდიტორული დასკვნა პირობითი მოსაზრებით 2019 წლის 21 ივნისს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს 2019 წლის 21 ივნისის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავგვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

#### სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნა არ წარმოგვიდგენია მასზე 2019 წლის 21 ივნისს. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ.

#### დასკვნა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვედრილი ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის თუ არა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

#### მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრილია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

მალხაზ უჯმაჯურიძე

შპს „ნექსია თივის“ სახელით

23 სექტემბერი 2019

თბილისი, საქართველო



**Closer to you**

### კომპანიის ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო“ (შემდგომში “კომპანია”) წარმოადგენს “მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ” საქართველოს კანონისა და “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე და მათ შესაბამისად ჩამოყალიბებულ სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირს. კომპანია საქმიანობას ეწევა “მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ” საქართველოს კანონის, “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის, საქართველოში მოქმედი სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტებისა და წესების შესაბამისად.

შპს „ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო“ (ს/კ 401985107) დაფუძნებულია 2013 წლის 21 ივნისს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსი ეროვნულ ბანკში მიენიჭა 2013 წლის 24 სექტემბერს. (განკარგულება N 710, სარეგისტრაციო ნომერი 790913.)

კომპანიის უმაღლესი მმართველობის ორგანოა პარტნიორთა კრება. ორგანიზაციის ოპერაციების ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო ყოველდღიურ მართვას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორი.

2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით ორგანიზაციის დამფუძნებლების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილის სახით:

| დამფუძნებელი                                              | წილი % |
|-----------------------------------------------------------|--------|
| A02988494, A21160810, , აშრაფ ემილ სადეკ მეხაილ , ეგვიპტე | 60 %   |
| A01927810, , ემილ სადეკ მიკაელ სოლიმან , ეგვიპტე          | 30 %   |
| A01927974, , სუსან ფაიზ ამინ იაკუბ , ეგვიპტე              | 10 %   |

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო“-ს სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი წევრისაგან:

1. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე/წევრი: A01927810, ემილ სადეკ მიკაელ სოლიმან , ეგვიპტე;
2. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: A01927974, სუსან ფაიზ ამინ იაკუბ , ეგვიპტე
3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი: A06562212, მარიან ემილ სადეკ, ეგვიპტე.

კომპანიას მისი დაარსების დღიდან დღემდე ყავს ორი დირექტორი:

1. ემილ სადეკ მიკაელ სოლიმან;
2. აშრაფ ემილ სადეკ მეხაილ

შპს-მ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო“ ფუნქციონირება დაიწყო 6 თანამშრომლით. დღესდღეობით კი დასაქმებულია 8 თანამშრომელი.

### კომპანიის ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა (გაგრძელება)

## 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კომპანიის ფუნქციონირებასა და მომხმარებელთან ურთიერთობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია კადრების კვალიფიკაცია, განათლების ხარისხი და კომპეტენტურობა. შესაბამისად, კომპანია მუდმივად ცდილობს ხელი შეუწყოს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას, ხოლო კადრების შერჩევისას ითვალისწინებს განათლებისა და გამოცდილების კრიტერიუმებს.


### ფილიალები, შეთავაზებული პროდუქტები და პორტფელი

შპს-ს „ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო“ აქვს მხოლოდ ერთი ფილიალი, რომლის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. N86, ამავე მისამართზე მდებარეობს კომპანიის სათაო ოფისიც.


დღეის მდგომარეობით შპს „ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო“ მომხმარებელს სთავაზობს უძრავი ქონებით და ოქროთი უზრუნველყოფილ სესხებს. არსებულ პროდუქტებზე პირობები და საპროცენტო განაკვეთები შემდეგნაირია:

| იპოთეკური სესხი             |                |
|-----------------------------|----------------|
| მოცულობა                    | 1,000 – 50,000 |
| ვადა                        | 1-84 თვე       |
| ვალუტა                      | ლარი           |
| ოქროთი უზრუნველყოფილი სესხი |                |
| მოცულობა                    | 100 – 10,000   |
| ვადა                        | 1-36 თვე       |
| ვალუტა                      | ლარი           |

აღნიშნული სესხების ბოლო სამი წლის მაჩვენებელი დემოგრაფიული განაწილების მიხედვით რაოდენობრივად და მოცულობით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკულ გამოსახულებებში.



### ფილიალები, შეთავაზებული პროდუქტები და პორტფელი (გაგრძელება)




### მომხმარებელთა უფლებების დაცვა

კომპანიისთვის უმნიშვნელოვანესია მომხმარებლის უფლებების დაცვა. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური ბრძანება „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ ეროვნულმა ბანკმა 2016 წლის 23 დეკემბერს გამოსცა, აღნიშნული წესით განსაზღვრულ საკითხთა უმრავლესობას ბრძანების გამოქვეყნებამდეც დიდი ყურადღება ეთმობოდა, ბრძანებით განსაზღვრული დანარჩენი საკითხები კი დაუყოვნებლივ დაინერგა კომპანიაში.

### საპროცენტო განაკვეთების დინამიკა

საპროცენტო განაკვეთები დიდწილად მიბმულია საერთო საფინანსო ბაზარზე არსებულ მდგომარეობასა და ბანკების მიერ მოზიდული სახსრების განაკვეთებზე. მიკროსაფინანსო ბაზარზე, როგორც წესი, შედარებით მაღალია საპროცენტო განაკვეთები, რაც თავის მხრივ აიხსნება ამ ბაზრის მაღალ რისკიანობით. კომპანია ცდილობს, მაქსიმალურად დაარეგულიროს საპროცენტო განაკვეთები, თუმცა ტრენდი დიდწილად ბაზარზე მომხდარ ცვლილებებზეა დამოკიდებული.

წლების განმავლობაში საპროცენტო განაკვეთების ცვლილება იხილეთ გრაფიკზე ქვემოთ:



### ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის ძირითად საქმიანობაა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული მიკრო კრედიტების გაცემა მცირე და საშუალო შემოსავლის მქონე ფიზიკურ პირებზე.

კომპანიის შემოსავლების თითქმის სრულად შედგება გაცემული სესხებიდან მიღებული პროცენტისა და ჯარიმებისგან (90%, 99.9% შესაბამისად 2018 და 2017 წლებში).

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტები.


| ფინანსური კოეფიციენტები                                                   | 2018  | 2017 |
|---------------------------------------------------------------------------|-------|------|
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი/სულ საოპერაციო შემოსავალი (Gross pr. margin) | 91%   | 93%  |
| წმინდა მოგება(ზარალი)/აქტივები (ROA)                                      | (11)% | (7)% |
| მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები (Current Ratio)                | 7.65  | 8.46 |
| ფული და ფულის ექვივალენტები/მიმდინარე ვალდებულებები (Cash ratio)          | 3.33  | 3.15 |

### 2018 წელს ჩამოყალიბებული ბიზნეს გარემოს გავლენა და რისკები

2017 წლამდე კომპანიის მიერ სესხების გაცემა ხდებოდა მხოლოდ აშშ დოლარში, ხოლო ლარიზაციის რეფორმისა და სხვა მიმდინარე ცვლილებების გამო კომპანიას მოუწია დაკრედიტების სისტემის შეცვლა და სრულად ლარის სესხებზე გადასვლა.

ეროვნული ბანკის დავალებით 2017 წელს (ლარიზაციის რეგულაციების მიღების შემდეგ) კომერციულმა ბანკებმა დავალებით შეაჩერეს სესხების გაცემა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე. 2018 წლიდან შეინიშნება სესხების მოცულობის ზრდა, რაც განპირობებულია ბაზრის ახალი რეგულაციების შესაბამისად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ, ნაკლებად რისკიანი პორტფელის შესაქმნელად საჭირო თანხების მოძიებით.


(იხილეთ დიაგრამა)



წყარო : [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)

### 2018 წელს ჩამოყალიბებული ბიზნეს გარემოს გავლენა და რისკები (გაგრძელება)

მოძიებული თანხების პროპორციულად გაიზარდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პორტფელი . (იხ დიაგრამა)



წყარო : [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მინიმალური კაპიტალის ზრდამ ბაზრის წილების გადანაწილება მკვეთრად შეცვალა, ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა დატოვა ბაზარი , ხოლო მათ ვინს რეგულაციების შესაბამისად მოახერხეს და დაიცვეს მინიმალური კაპიტალის ოდენობა გაუჩნდათ ახალი სივრცეები რაც 2019 წლის მთავარი გამოწვევა იქნება.

### განვითარების გეგმები

შპს-ს „ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო“ 2019 წლის ძირითად გეგმას წარმოადგენს ბაზრის წილის ზრდა კონკრეტულად დაბალრისკიანი პორტფელის მიმართულებით, კერძოდ იპოთეკური სესხების მიმართულებით. მენეჯმენტი პოზიტიურად არის განწყობილი ბაზრის ახალი კონიუნქტურის მიმართ და გეგმავს იპოთეკური სესხების პორტფელი 2019 წლის განმავლობაში 50% გაზარდოს. ოქროთი უზრუნველყოფილი სესხების წილი პორტფელი შეამციროს და მხოლოდ გაცემული სესხების ამოღებით შემოიფარგლოს.

რაც შეეხება ახალი პროდუქტების ინიცირებას, დაგეგმვასა და ბაზარზე განთავსებას, ამ დროისთვის არ იგეგმება.

შპს „ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო“ (ს/კ 401985107) “Georgian International Miso ltd ”

23 სექტემბერი, 2019 წელი September 23, 2019

### დირექტორები:

აშრაფ ემილ სადეკ მიხაელ Ashraf Emil Sadek Mekhail -----

ემილ სადეკ მიკაელ სოლიმან Emil Sadek Mikael Soliman -----


შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო“

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

### 2018 წელს ჩამოყალიბებული ბიზნეს გარემოს გავლენა და რისკები (გაგრძელება)

მოძიებული თანხების პროპორციულად გაიზარდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პორტფელი. (იხ დიაგრამა)



წყარო : [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მინიმალური კაპიტალის ზრდამ ბაზრის წილების გადანაწილება მკვეთრად შეცვალა, ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა დატოვა ბაზარი, ხოლო მათ ვინც რეგულაციების შესაბამისად მოახერხეს და დაცვეს მინიმალური კაპიტალის ოდენობა გაუჩნდათ ახალი სივრცეები რაც 2019 წლის მთავარი გამოწვევა იქნება.

#### განვითარების გეგმები

შპს-ს „ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო“ 2019 წლის ძირითად გეგმას წარმოადგენს ბაზრის წილის ზრდა კონკრეტულად დაბალრისკიანი პორტფელის მიმართულებით, კერძოდ იპოთეკური სესხების მიმართულებით. მენეჯმენტი პოზიტიურად არის განწყობილი ბაზრის ახალი კონიუნქტურის მიმართ და გეგმავს იპოთეკური სესხების პორტფელი 2019 წლის განმავლობაში 50% გაზარდოს. ოქროთი უზრუნველყოფილი სესხების წილი პორტფელი შეამციროს და მხოლოდ გაცემული სესხების ამოღებით შემოიფარგლოს.

რაც შეეხება ახალი პროდუქტების ინიცირებას, დაგეგმვასა და ბაზარზე განთავსებას, ამ დროისთვის არ იგეგმება.

შპს „ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო“ (ს/კ 401985107) “Georgian International Miso Ltd ”

23 სექტემბერი, 2019 წელი September 23, 2019

დირექტორები:

აშრაფ ემილ სადეკ მიხაელ Ashraf Emil Sadek Mekhail

ემილ სადეკ მიკაელ სოლიმან Emil Sadek Mikael Soliman

**შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია  
ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო“**

ფინანსური ანგარიშგება და  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა  
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის  
(ინგლისურ ენაზე გამოცემული ორიგინალის თარგმანი)

## შინაარსი

|                                                                 |    |
|-----------------------------------------------------------------|----|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა                                 | 3  |
| <b>ფინანსური ანგარიშგება:</b>                                   |    |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                              | 7  |
| მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება            | 8  |
| კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება                       | 9  |
| ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება                  | 10 |
| <b>ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:</b>          |    |
| 1. შესავალი                                                     | 11 |
| 2. მომზადების საფუძველი                                         | 11 |
| 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა | 12 |
| 4. გამოცემული ფასს სტანდარტები, რომლებიც ჯერ ძალაში არ შესულა   | 22 |
| 5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო დაშვებები და შეფასებები             | 24 |
| 6. ფული და ფულის ექვივალენტები                                  | 26 |
| 7. გაცემული სესხები                                             | 26 |
| 8. სხვა აქტივები                                                | 29 |
| 9. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური ქონება                | 30 |
| 10. საწესდებო კაპიტალი                                          | 30 |
| 11. წმინდა საპროცენტო შემოსავალი                                | 30 |
| 12. სხვა შემოსავლები                                            | 31 |
| 13. სხვა ხარჯები                                                | 31 |
| 14. საკონსულტაციო ხარჯი                                         | 31 |
| 15. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)             | 31 |
| 16. მოგების გადასახადის ხარჯი                                   | 32 |
| 17. ფინანსური რისკის მართვა                                     | 32 |
| 18. კაპიტალის მართვა                                            | 36 |
| 19. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები     | 36 |
| 20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან                          | 37 |
| 21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები                   | 37 |

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისოს“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

### *პირობითი მოსაზრება*

ჩავატარეთ შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისოს“ (კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

### *პირობითი მოსაზრების საფუძველი*

2014 წლის ივლისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს 9 -ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ საბოლოო ვარიანტი, რომელმაც ჩაანაცვლა ფასს 39 - „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიამ ფინანსური ინსტრუმენტები უნდა აღრიცხოს ფასს 9 სტანდარტის შესაბამისად 2018 წელს დასრულებული წლისთვის. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით კომპანიამ შეცვალა სააღრიცხვო პოლიტიკა ფასს 9 - ის შესაბამისად (შენიშვნა 3). თუმცა, ჩვენ ვერ შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია ადეკვატურად ითვალისწინებს ფასს 9 - ის მოთხოვნებს ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვისთვის. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება იმაზე, რომ კომპანიის ფინანსური აქტივების გაუფასურება სწორად არის დაანგარიშებული ფასს 9 - ის მოთხოვნების შესაბამისად. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა კორექტირებები წარდგენილ გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებასთან და სესხის გაუფასურების რეზერვის ხარჯთან დაკავშირებით.

გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ დავინიშნეთ კომპანიის აუდიტორებად 2018 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, ვერ შევძელით დავეკვირვებოდით 2018 წლის ბოლოს სალაროში არსებული ნაღდი ფულის ინვენტარიზაციას, რომლის ღირებულებაც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 112,868 ლარს. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით აღნიშნული თარიღისთვის არსებული სალაროს ნაშთის სისწორეში და შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, ასევე ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

ჩვენ კომპანიისგან ვერ მოვიპოვეთ მიღებულ სესხთან დაკავშირებით საკმარისი და შესაფერისი დოკუმენტაცია, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 58,765 ლარის ოდენობით. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავადასტურეთ აღნიშნული სესხის არსებობა და შესაბამისად საპროცენტო ხარჯის ოდენობაც, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 5,969 ლარის ოდენობით.

ჩვენ კომპანიისგან ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი ინფორმაცია უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთებისა და ბრუნვების შესახებ, კომპანიის სააღრიცხვო პროგრამაში არსებული შეზღუდვის გამო. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავადასტურეთ უცხოური ვალუტის გადაფასების შედეგად მიღებული ზარალის სისრულე და სიზუსტე, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 8,950 ლარის ოდენობით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ზემოაღნიშნულ თანხაში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### ***სხვა ინფორმაცია***

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს 2018 წლის მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნას. სავარაუდოდ, მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება ამ აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსურ აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებითად თანხვედნილი და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

### ***სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები***

კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც 2018 წლის 13 ივლისს გასცა პირობით დასკვნა, იმის გამო, რომ კომპანიას არ ჰქონდა გამართული სააღრიცხვო სისტემა და ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მოხერხდა უცხოური ვალუტის გადაფასების ეფექტის დადასტურება. აგრეთვე, ვერ მოხერხდა მიღებული სესხების დადასტურება.

## **ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი მოცემული აუდიტისა, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა, არის მალხაზ უჯმაჯურიძე.

შპს ნექსია თიეი-ს სახელით

თბილისი, საქართველო

21 ივნისი, 2019

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო“  
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშება  
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 (ქართულ ლარში)

|                                      | შენიშვნა | 31 დეკემბერი<br>2018 | 31 დეკემბერი<br>2017 |
|--------------------------------------|----------|----------------------|----------------------|
| <b>აქტივები</b>                      |          |                      |                      |
| ფული და ფულის ექვივალენტები          | 6        | 313,779              | 222,233              |
| გაცემული სესხები                     | 7        | 422,191              | 294,062              |
| სხვა აქტივები                        | 8        | 43,555               | 66,771               |
| გადახდილი ავანსები                   |          | -                    | 5,552                |
| ძირითადი საშუალებები                 | 9        | 11,504               | 8,347                |
| არამატერიალური აქტივები              | 9        | 4,247                | 975                  |
| <b>სულ აქტივები</b>                  |          | <b>795,276</b>       | <b>597,940</b>       |
| <b>ვალდებულებები</b>                 |          |                      |                      |
| მიღებული სესხები                     |          | 58,765               | 52,796               |
| საგადასახადო ვალდებულებები           |          | 26,729               | 17,844               |
| სავაჭრო ვალდებულებები                |          | 7,500                | -                    |
| მიღებული ავანსები                    |          | 1,130                | -                    |
| <b>სულ ვალდებულებები</b>             |          | <b>94,124</b>        | <b>70,640</b>        |
| <b>კაპიტალი</b>                      |          |                      |                      |
| საწესდებო კაპიტალი                   | 10       | 734,725              | 475,590              |
| გაუნაწილებელი მოგება                 |          | (33,573)             | 51,710               |
| <b>სულ კაპიტალი</b>                  |          | <b>701,152</b>       | <b>527,300</b>       |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b> |          | <b>795,276</b>       | <b>597,940</b>       |

აშრაფ ემის სადეკ მიხაელ  
 დირექტორი

მართა დოჯურიშვილი  
 მთავარი ბუღალტერი

11-37 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო“  
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ქართულ ლარში)

|                                                         | შენიშვნა | 2018            | 2017            |
|---------------------------------------------------------|----------|-----------------|-----------------|
| <b>საპროცენტო შემოსავლები</b>                           |          |                 |                 |
| საპროცენტო შემოსავალი                                   | 11       | 66,386          | 100,944         |
| საპროცენტო ხარჯი                                        | 11       | (5,969)         | (7,408)         |
| <b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე</b>      |          | <b>60,417</b>   | <b>93,536</b>   |
| გაუფასურების რეზერვის აღდგენა                           | 7        | 7,411           | 11,158          |
| <b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების შემდეგ</b> |          | <b>67,828</b>   | <b>104,694</b>  |
| სხვა შემოსავალი                                         | 12       | 3,077           | -               |
| კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)         | 15       | (8,950)         | (21,874)        |
| პერსონალის ხარჯი                                        |          | (67,318)        | (45,554)        |
| იჯარის ხარჯი                                            |          | (41,864)        | (33,222)        |
| საკონსულტაციო ხარჯი                                     | 14       | (17,012)        | (18,275)        |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი                           | 9        | (3,464)         | (325)           |
| სხვა ხარჯები                                            | 13       | (17,580)        | (26,879)        |
| <b>მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე</b>                      |          | <b>(85,283)</b> | <b>(41,435)</b> |
| მოგების გადასახადი ხარჯი                                | 16       | -               | -               |
| <b>წმინდა მოგება/(ზარალი)</b>                           |          | <b>(85,283)</b> | <b>(41,435)</b> |
| სხვა სრული შემოსავალი                                   |          | -               | -               |
| <b>წლის სრული შემოსავალი / (ზარალი)</b>                 |          | <b>(85,283)</b> | <b>(41,435)</b> |

აშრაფ ემის სადეკ მიხაელ  
 დირექტორი

მართა დოჯურიშვილი  
 მთავარი ბუღალტერი

11-37 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო“  
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება  
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ქართულ ლარში)

|                          | შენიშვნა | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ            |
|--------------------------|----------|-----------------------|-------------------------|----------------|
| <b>1 იანვარი 2017</b>    |          | <b>426,524</b>        | <b>93,145</b>           | <b>519,669</b> |
| კაპიტალში შენატანები     |          | 49,066                | -                       | 49,066         |
| წლის სრული (ზარალი)      |          | -                     | (41,435)                | (41,435)       |
| <b>31 დეკემბერი 2017</b> |          | <b>475,590</b>        | <b>51,710</b>           | <b>527,300</b> |
| კაპიტალში შენატანები     | 10       | 259,135               | -                       | 259,135        |
| წლის სრული შემოსავალი    |          | -                     | (85,283)                | (85,283)       |
| <b>31 დეკემბერი 2018</b> |          | <b>734,725</b>        | <b>(33,573)</b>         | <b>701,152</b> |

აშრაფ ემის სადეკ მიხაელ  
 დირექტორი

მართა დოჯურიშვილი  
 მთავარი ბუღალტერი

11-37 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო“  
 ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება  
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ქართულ ლარში)

|                                                                                                                     | შენიშვნა | 2018           | 2017           |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------|----------------|----------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან</b>                                                                   |          |                |                |
| მოგება დაბეგვრამდე                                                                                                  |          | (85,283)       | (41,435)       |
| კორექტირებები:                                                                                                      |          |                |                |
| კურსთაორის სხვაობიდან მიღებული(მოგება)/ზარალი                                                                       | 15       | 8,950          | 21,874         |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                                                                | 9        | 3,464          | 2,087          |
| საპროცენტო შემოსავალი                                                                                               | 11       | (66,386)       | (100,944)      |
| საპროცენტო ხარჯები                                                                                                  | 11       | 5,969          | 7,408          |
| სესხის გაუფასურების რეზერვი                                                                                         | 7        | (7,411)        | (11,158)       |
| მოგება დასაკუთრებული ქონების გაყიდვიდან                                                                             | 12       | (3,077)        | -              |
| <b>ფულადი საშუალებების გადინება საოპერაციო საქმიანობებიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b> |          |                |                |
|                                                                                                                     |          | (143,774)      | (122,168)      |
| მოძრაობა მიმოქცევად კაპიტალში:                                                                                      |          |                |                |
| შემცირება / (ზრდა) კლიენტებზე გაცემულ სესხებში                                                                      |          | (114,643)      | 198,103        |
| შემცირება / (ზრდა) სხვა მოთხოვნებში                                                                                 |          | 23,191         | (66,331)       |
| ზრდა / (შემცირება) სხვა ვალდებულებებში                                                                              |          | 10,098         | (8,590)        |
| <b>ფულადი საშუალებების (გადინება)/შემოდინება საოპერაციო საქმიანობებიდან პროცენტსა და დაბეგვრამდე</b>                |          |                |                |
|                                                                                                                     |          | (225,128)      | 1,014          |
| მიღებული პროცენტი                                                                                                   |          | 57,551         | 100,859        |
| გადახდილი პროცენტი                                                                                                  |          | -              | (7,408)        |
| <b>წმინდა ფულადი საშუალებების (გადინება)/შემოდინება საოპერაციო საქმიანობებიდან</b>                                  |          |                |                |
|                                                                                                                     |          | (167,577)      | 94,465         |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                                                                                        | 9        | (5,534)        | (515)          |
| არამატერიალური აქტივების შეძენა                                                                                     | 9        | (4,360)        | -              |
| <b>წმინდა ფულადი საშუალებების (გადინება)/შემოდინება საინვესტიციო საქმიანობებიდან</b>                                |          |                |                |
|                                                                                                                     |          | (9,894)        | (515)          |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან</b>                                                                    |          |                |                |
| კაპიტალის ზრდა                                                                                                      | 10       | 259,135        | 49,066         |
| სესხის დაფარვა                                                                                                      |          | -              | (46,454)       |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება საფინანსო საქმიანობებიდან</b>                                                 |          |                |                |
|                                                                                                                     |          | 259,135        | 2,612          |
| ფულადი და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა                                                                          |          | 81,664         | 96,562         |
| ფულადი და ფულისექვივალენტები წლის დასაწყისში                                                                        | 6        | 222,233        | 125,586        |
| უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა                                                                   |          |                |                |
| ფულისა და ფულის ექვივალენტებზე                                                                                      |          | 9,902          | 85             |
| <b>ფულადი და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს</b>                                                                     | <b>6</b> | <b>313,799</b> | <b>222,233</b> |

აშრაფ ემის სადეკ მიხაელ  
 დირექტორი

მართა დოჯურიშვილი  
 მთავარი ბუღალტერი

11-37 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## 1. შესავალი

### ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს „ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ინტერნეიშენალ მისო“ (კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, თბილისი, დავით აღმაშენებლის N86.

კომპანიის მფლობელები არიან აშრაფ ემილ სადეკ მიხაილ (60%), აშრაფ ემილ სადეკ სოლიმან (30%) , სუსან ფაიზ ამინ იაკუბ (10%) 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის მმართველი ორგანოებია: სამეთვალყურეო საბჭო (თავმჯდომარე: ემილ სადეკ მიკაელ სოლიმან), პარტიორთა კრება და დირექტორატი (დირექტორები: ემილ სადეკ მიკაელ სოლიმანი , აშრაფ ემილ სადეკ მიხაილ).

კომპანია დაფუძნდა 2013 წლის 21 ივნისს. კომპანიის მთავარი პროდუქტებია, იპოთეკური და სალომბარდე სესხები.

კომპანიას ოფისი აქვს თბილისიში.

## 2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისას ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა, ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა და საწესდებო კაპიტალში განხორციელებული შენატანების ოდენობა (შენიშვნა 10 და შენიშვნა 21), რაც, მიკროსაფინანსო ბაზარზე სირთულეების მიუხედავად, საშუალებას მისცემს კომპანიას განაგრძოს ფუნქციონირება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. კომპანიის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა

#### საანგარიშგებო ვალუტა

კომპანიის ოფიციალური ვალუტა არის - ქართული ლარი (GEL). გარიგებები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აღირიცხება ოფიციალურ ვალუტაში გარიგების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მიმდინარე კურსით. ფულადი საშუალებები უცხოურ ვალუტაში ანგარიშგების დღისათვის კონვერტირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საანგარიშო დღის სავალუტო კურსით. კურსის ყველა სხვაობა, რომელიც წარმოიშობა ანგარიშსწორებისას, ჩაითვლება მოგებაში ან ზარალში.

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთის კონვერტაციისათვის გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსი არის შემდეგი:

|                        | 31 დეკემბერი 2018 | 31 დეკემბერი 2017 |
|------------------------|-------------------|-------------------|
| 1 USD/GEL              | 2.6766            | 2.5922            |
| 1 EUR/GEL              | 3.0701            | 3.1044            |
| საშუალო გაცვლითი კურსი | 2018              | 2017              |
| 1 USD/GEL              | 2.5345            | 2.5086            |
| 1 EUR/GEL              | 2.9913            | 2.8322            |

#### ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

კომპანიამ პირველად გამოიყენა გარკვეული სტანდარტის ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. კომპანიას არ დაუწერგავს არც ერთი სტანდარტი, ცვლილება ან შესწორება, რომელიც უკვე გამოცემულია, თუმცა ძალაში შესული არ არის.

კომპანიამ პირველად გამოიყენა ფასს 15 და ფასს 9. აღნიშნული ახალი სააღრიცხვო სტანდარტების დანერგვით გამოწვეული ცვლილების შინაარსი და ეფექტი აღწერილია ქვემოთ.

#### ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 ჩაანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიას არ გადაუნაგარიშებია 2017 წლის შესადარისი ინფორმაცია ფასს 9-ის მიხედვით, შესაბამისად 2017 წლის შესადარისი ინფორმაცია გაცხადებულია ბასს 39-ის შესაბამისად.

#### ა) კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ აკმაყოფილებს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის“ (SPPI) კრიტერიუმს, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. სავალო ფინანსური აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI კრიტერიუმს,

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარებისას მათი კლასიფიკაცია განისაზღვრება იმ ბიზნესმოდელის საფუძველზე, რომლითაც იმართება ეს ფინანსური ინსტრუმენტები:

- ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით;
- ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით“ ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში;
- ინსტრუმენტები, რომლების იმართება სხვა საფუძველზე, მათ შორის სავაჭრო ფინანსური აქტივები, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

წილობრივი ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირებული უნდა იქნეს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ხდება ინსტრუმენტების შეუქცევადი კლასიფიცირება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში. სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით კლასიფიცირებული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი, გარდა დივიდენდის სახით მიღებული შემოსავლისა, აღიარებული უნდა იქნეს სხვა სრულ შემოსავალში, მოგებაში ან ზარალში შემდგომი რეკლასიფიცირების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება მეტწილად უცვლელი რჩება და არ განსხვავდება არსებული ბასს 39-ის მოთხოვნებისგან. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები კვლავ შეფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები აღარ არის გამიჯნული დაკავშირებული ფინანსური აქტივისგან.

#### ა) გაუფასურება

ბასს 39-ის განცდილი ზარალის მიდგომა ჩაანაცვლა ფასს 9-ის საპროგნოზო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მიდგომამ.

რეზერვები ეფუძნება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც უკავშირდება მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას, თუ სესხის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივის განმარტებას, მაშინ რეზერვი დაეყრდნობა აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებას. კომპანიის გაუფასურების დარიცხვის მეთოდი განხილულია შენიშვნა 7-ში.

ფასს 9-ის დანერგვას არ ჰქონია რაოდენობრივი გავლენა 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით.

#### ფასს 15 „შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“

ფასს 15, რომელიც გამოიცა 2014 წლის მაისში და შეცვლილ იქნა 2016 წლის აპრილში, განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლის აღიარებისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც კომპანია მოელის

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. თუმცა, სტანდარტი არ ეხება ფინანსურ ინსტრუმენტებთან და იჯარასთან დაკავშირებულ შემოსავალს, აქედან გამომდინარე, არ ახდენს გავლენას კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილზე, მათ შორის

საპროცენტო შემოსავალზე. შედეგად, კომპანიის შემოსავლის უმეტესი ნაწილი არ შეცვლილა სტანდარტის დანერგვის შედეგად.

#### მოგების გადასახადი

საგადასახადო ხარჯები წარმოადგენს მთლიან თანხას, რომელიც შედის მოგება-ზარალში მიმდინარე საგადასახადო და გადავადებული საგადასახადო პერიოდისათვის.

მიმდინარე გადასახადი არის მოგების გადასახადის თანხა, რომელიც გადასახდელია ან უკან დაბრუნებადია დასაბეგრ მოგებასა ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისათვის.

გადავადებული გადასახადის აქტივი ან ვალდებულება აღიარებულია გადასახადისათვის, რომელიც ამოღებადია ან გადასახდელია სამომავლო პერიოდებში, როგორც წარსული გარიგებების ან ღონისძიებების შედეგი. გადავადებული გადასახადი წარმოიშობა სხვაობისგან (ცნობილია, როგორ დროებითი სხვაობა) ფინანსური მდგომარეობის შესახებ განაცხადში მოცემული აქტივების და ვალდებულებებში საბალანსო მაჩვენებლებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის. აქტივების საგადასახადო ბაზა განისაზღვრება აქტივების გათავისუფლების თანმიმდევრობით.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებში აღიარებულია ყველა დროებითი სხვაობისათვის, რასაც მოსალოდნელია, რომ გაზრდის მომავალში დასაბეგრ მოგებას, გარდა მათი, რაც დაკავშირებულია გუდვილთან. გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებულია ყველა დროებითი სხვაობისათვის, რომლებიც მოსალოდნელია, რომ შეამცირებს მომავალში დასაბეგრ მოგებას და ნებისმიერ გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები ფასდება უმაღლესი თანხით, რომელიც მეტად მოსალოდნელია, რომ არ იქნება ამოღებული, მიმდინარე ან სამომავლო გეგმიური დასაბეგრი მოგების საფუძველზე. გადავადებული საგადასახადო აქტივების წმინდა საანგარიშო ღირებულება განიხილება ყოველ სააღრიცხვო თარიღზე და რეგულირდება, რათა ასახოს მომავალი დასაბეგრი მოგების ახლანდელი შეფასება. ნებისმიერი რეგულირება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, თუ სხვა მთლიანი შემოსავლის პუნქტისათვის არ არის დამხასიათებელი.

გადავადებული გადასახადი გამოიანგარიშება საგადასახადო ტარიფით, რომელიც მოსალოდნელია, რომ გავრცელდება დასაბეგრ მოგებაზე (საგადასახადო ზარალი) იმ პერიოდისათვის, როცა მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ გადავადებული საგადასახადო აქტივები განთავისუფლდება ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები დაიფარება, იმ საგადასახადო ტარიფების საფუძველზე, რომელიც ამოქმედდა ან არსებითად ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

##### *თავდაპირველი აღირება*

##### *აღიარების თარიღი*

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც

კომპანიამ აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხვეს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

##### *თავდაპირველი შეფასება*

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებლო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, ასეთ შემთხვევაში ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

##### *ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები*

2018 წლის 1 იანვრიდან, კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელიდან და სახელშეკრულებლო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენდა კლიენტებზე გაცემულ სესხებად და მოთხოვნებად (ამორტიზირებული ღირებულება), გასაყიდად გამიზნულად ან დაფარვის ვადამდე ფლობილად (ამორტიზირებული ღირებულება).

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

##### *კლიენტებზე გაცემული სესხები, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ამორტიზირებული ღირებულებით*

2018 წლის 1 იანვრამდე კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავდა არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყო კოტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ აქტივებისა:

- რომლებსაც კომპანია უპირებს დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გაყიდვას;

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

- რომლებსაც კომპანია თავდაპირველი აღიარებისას მიაკუთვნებს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახულის ან გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას;
- რომლებზეც კომპანიამ შეიძლება სრულად ვერ ამოიღოს თავდაპირველი ინვესტიცია ამა თუ იმ მიზეზით, გარდა კრედიტის გაუარესების მიზეზისა, და რომელიც მიეკუთვნება გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას.

2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია ახდენს კლიენტებზე გაცემული სესხების და სხვა ფინანსური ინვესტიციების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- 1) ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით.
- 2) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

ზემოხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

#### *ბიზნესმოდელის შეფასება*

კომპანიის ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად.

კომპანიის ბიზნესმოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორიც არის, მაგალითად:

როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;

რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;

რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);

მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის ბიზნეს მოდელის შესაფასებლად.

ბიზნესმოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით საწარმოს მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნესმოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

*მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება*

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარად ან პრემიუმის/დისკონტის ამორტიზაცია).

ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი.

ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

*გაცემული სესხები და მოთხოვნები*

2018 წლის 1 იანვრამდე, გაცემული სესხები და მოთხოვნები წარმოადგენდნენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყვნენ კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ იყო განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ იყო კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. ასეთი აქტივები აღირიცხებოდა ამორტიზირებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდებოდა მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდებოდა სესხებისა და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტა ან გაუფასურება, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება ბასს 39-ის მიხედვით**

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია აფასებდა, ყოველ საანგარიშგებო თარიღისთვის, არსებობდა თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურდებოდა. ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებლად მიიჩნეოდა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობდა რაიმე მოვლენით (ან მოველენებით) გამოწვეული გაუფასურების არსებობის ობიექტური მტკიცებულება, რომელიც (რომლებიც) დადგა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ზარალის დადგომის შემთხვევა (ან შემთხვევებს) გავლენა ჰქონდა ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა საწრმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელი იყო. გაუფასურების მტკიცებულება შეიძლება ყოფილიყო იმის ნიშნები, რომ მსესხებელი ან მსესხებელთა ჯგუფი განიცდიდა მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არ იხდიდა ან აგვიანებდა სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდას, არსებობდა გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებდა მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორიცაა ცვლილებები ვადაგადაცილებული გადახდების

დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა. გასაყიდად გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, გაუფასურების ნიშანი ასევე არის ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი შემცირება მის თვითღირებულებაზე ნაკლებ ოდენობამდე.

კომპანია მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, ინდივიდუალურად, ხოლო ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში კოლექტიურად აფასებდა, არსებობდა თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი.

თუ დადგინდებოდა, რომ არსებობს გაუფასურების ობიექტური საფუძველი, ხდებოდა ზარალის ოდენობის დაანგარიშება, რაც წარმოადგენდა სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას (ჯერ არ მომხდარი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოკლებით) დადისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივებისთვის სხვაობას სამართლიან ღირებულებასა და ინვესტიციის ღირებულებას შორის. აქტივის ღირებულება მცირდებოდა და ზარალი აისახებოდა მოგება ზარალის ანგარიშში. საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდებოდა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დარიცხვით შემცირებულ ძირზე, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში გამოიყენებოდა გაუფასურების ზარალის ოდენობის დასათვლელად სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის გამოყენებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

უიმედო აქტივები ჩამოიწერებოდა გაუფასურების შესაბამისი რეზერვიდან და ხდებოდა უზრუნველყოფების რეალიზაცია ან კომპანიისათვის გადაცემა. თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი შემცირდებოდა და ეს შემცირება ობიექტურად უკავშირდებოდა გაუფასურების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდებოდა მანამდე აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა მოგება ზარალის ანგარიშში, გარდა გასაყიდად არსებული ინვესტიციებისა, რომელთა შემთხვევაშიც სამართლიან ღირებულებაში ზრდა გაუფასურების შემდეგ აღიარდებოდა სხვა სრული შემოსავლის ფარგლებში.

გაუფასურების კოლექტიური შეფასების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები ჯგუფდებოდა კომპანიის პროდუქტების მონიტორინგის შიდა სისტემის მიხედვით, რაც მოიცავდა საკრედიტო რისკის ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა აქტივის სახეობა, ინდუსტრია, უზრუნველყოფილი საგნის სახეობა, ვადაგადაცილების სტატუსი და სხვა შესაბამისი ფაქტორები.

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განისაზღვრა მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალის გამოცდილება დაკორექტირდა არსებული ემპირიული მონაცემების მიხედვით, რათა აესახა დღევანდელი

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

პირობების ეფექტი, რომელიც არ მოქმედებდა იმ წლებზე, საიდანაც მიღებულია ისტორიული ზარალის გამოცდილება და უგულებელყოფილიყო წინა პერიოდში არსებული იმ პირობების ეფექტი, რომელიც დღეისათვის აღარ არსებობს. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავდა და უკავშირდებოდა წლიდან წლამდე შესაბამის ემპირიულ მონაცემებში მომხდარ ცვლილებებს (როგორცაა უმუშევრობის განაკვეთი, უძრავი ქონების ფასი, საქონლის ფასი, გადახდისუნარიანობა და სხვა ფაქტორები, რომლებიც ჯგუფში განცდილი ზარალის ან მისი მასშტაბის განმსაზღვრელი იყო).

რეგულარულად ხდებოდა სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების იმ მეთოდოლოგიის და დაშვებების გადახედვა, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, რათა შემცირებულიყო სხვაობა მოსალოდნელ და ფაქტობრივ ზარალს შორის. 2018 წლის 1 იანვრიდან კი ბასს 39 ჩანაცვლდა ფასს 9-ით.

ფასს 9-ის მიხედვით გაუფასურების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნა 7-ში.

### ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

#### *ფინანსური აქტივები*

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;

კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და

კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

#### *ჩამოწერა*

2018 წლის 1 იანვრიდან ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც კომპანია შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

#### *ფინანსური ვალდებულებები*

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღირება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

#### ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს.

#### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. თავდაპირველი ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებლისა და არანაზღაურებადი შემენის გადასახდების, ასევე სხვა პირდაპირ მიკუთვნებული გადასახდების ჩათვლით. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეული შეადგენს მთავარ კომპონენტებს, რომელსაც აქვს ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა, ისინი ითვლება, როგორც ცალკეული ძირითადი საშუალების ერთეული.

შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის:

#### *ძირითადი საშუალების ჯგუფი*

#### *სასარგებლო მომსახურების ვადა*

ოფისის აღჭურვილობა

5 წელი

ძირითადი საშუალების ერთეული ჩამოიწერება ლიკვიდაციისას ან როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისებისგან აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის ჩამოწერისას (განგარიშებული, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და აქტივების საანგარიშო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც აქტივი ჩამოიწერება.

ძირითადი საშუალებები რომელიც შეძენილია კომპანიის მიერ და რომელთაც აქვთ განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადები, ნაჩვენებია საბალანსო ღირებულებით, დაგროვილი საამორტიზაციო და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

#### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები შედგება კაპიტალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიებისგან, რომელიც კაპიტალიზდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენაზე და სასარგებლო მდგომარეობაში მოყვანაზე გაწეული ხარჯების საფუძველზე. სხვა ყველა ხარჯი, მაგალითად ტექნიკური მომსახურება, აღიარდება ხარჯად მათი გაწევისთანავე. არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რომელიც კომპანიის მიერ განსაზღვრულია 5 წლით.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ გაუფასურების ზარალი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების ზარალი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

#### საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი შედგება დამფუძნებლების მიერ კაპიტალში განხორციელებული შენატანებისგან და დაგროვილი მოგებისგან. მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებს არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის შესაბამისადაც 2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციების განადღებული კაპიტალის ოდენობა არ უნდა იყოს 500,000 ლარზე ნაკლები (2017: 250,000 ლარზე ნაკლები). განადღებული კაპიტალი მხოლოდ ფულადი ფორმით უნდა იყოს შევსებული. დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნა N18 - ში.

#### დივიდენდი

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

#### შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლისა ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა სავალდებულო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდით, საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებში კლასიფიცირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

საზღაურები, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავენ საზღაურებს, რომლებიც მიღებულ ან გადახდილ იქნა სუბიექტის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასა ან შეძენასთან ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან დაკავშირებით, მაგალითად როგორცაა კრედიტუნარიანობის დადგენისთვის, გარანტიებისა თუ უზრუნველყოფის შეფასებისთვის, ინსტრუმენტის პირობების შეთანხმებისთვის და გარიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამუშავების საზღაურები.

### 4. გამოცემული ფასის სტანდარტები, რომლებიც ჯერ ძალაში არ შესულა

#### 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფაისკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა – სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის – „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე.ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი. მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მოიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მოიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიყენებს ორი ტიპის იჯარას:

#### 4. გამოცემული ფასის სტანდარტები რომლებიც ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

საოპერაციოს და ფინანსურს. ფასს 16, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, მოიჯარეებს და მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა. კომპანია ფასს 16-ის მიღებას აპირებს რეტროსპექტულად, ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენების ჯამური (კუმულაციური) ეფექტით, რომელიც აღიარებულია

თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის. კომპანია გადაწყვეტს სტანდარტის გამოყენებას იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე, ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის გამოყენებით, იჯარებად განისაზღვრებოდა. ამიტომ კომპანია არ გამოიყენებს სტანდარტს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე არ განისაზღვრებოდა იჯარის შემცველად ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის გამოყენებით. კომპანია გადაწყვეტს სტანდარტით გათვალისწინებული გამონაკლისების გამოყენებას იმ საიჯარო კონტრაქტებზე, რომელთა მიხედვითაც, იჯარის ვადა მთავრდება 12 თვეში თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, და აგრეთვე იმ საიჯარო კონტრაქტებზე, რომელთა საბაზისო აქტივი დაბალი ღირებულებისაა. კომპანიის იჯარით აქვს აღებული ოფისი, რომელიც ნაწილი გაფორმებულია 1 წელზე მეტი ვადით. კომპანია ამჟამად აფასებს ფასს 16-ის მიღების გავლენას, მაგრამ ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის არ მოელის, რომ ამ სტანდარტს რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა ექნება მის საკუთარ კაპიტალზე.

ფასიკ (IFRIC) 23-ის ინტერპრეტაცია – „მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვევლობა“ ინტერპრეტაცია ეხება მოგების გადასახადების აღრიცხვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო დაბეგვრა შეიცავს გაურკვევლობას, რაც გავლენას ახდენს ბასს 12-ის გამოყენებაზე. იგი არ ვრცელდება ბასს 12-ის მოქმედების არეალის მიღმა მყოფ გადასახადებზე და მოსაკრებლებზე, ამასთან იგი არ მოიცავს კონკრეტულ მოთხოვნებს გაურკვევლობის შემცველ საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებული ჯარიმებისა თუ საურავების შესახებ. ინტერპრეტაცია კონკრეტულად მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- კომპანია ინდივიდუალურად განიხილავს თუ არა გაურკვეველი საგადასახადო დაბეგვრის წესებს;
- დაშვებები, რომლებსაც კომპანია აკეთებს საგადასახადო ორგანოების მიერ გამოყენებული საგადასახადო დაბეგვრის წესების შემოწმების შესახებ;
- როგორ განსაზღვრავს კომპანია დასაბეგრ მოგებას (საგადასახადო ზარალს), საგადასახადო ზაზებს, გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებს და საგადასახადო განაკვეთებს;
- როგორ განიხილავს კომპანია ცვლილებების შეტანას ფაქტებსა და გარემოებებში.

კომპანიამ უნდა განსაზღვროს, გაურკვევლობის შემცველი თითოეული საგადასახადო დაბეგვრის შემთხვევა ცალკე განიხილოს, თუ გაურკვევლობის შემცველ ერთ ან მეტ საგადასახადო დაბეგვრასთან ერთად. ამას უნდა მოჰყვეს მიდგომა, რომელიც უკეთესად ახდენს გაურკვევლობის გადაწყვეტის პროგნოზირებას. ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა მასზე გადასვლის გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს. კომპანია ინტერპრეტაციას გამოიყენებს მისი ძალაში შესვლის თარიღიდან. კომპანია ვარაუდობს რომ ინტერპრეტაციას არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა მის კაპიტალზე.

#### 4. გამოცემული ფასის სტანდარტები რომლებიც ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

*ცვლილებები ფასს 9-ში: „საავანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით“*

ფასს 9-ის მიხედვით, სავალო ინსტრუმენტი შეიძლება შეფასდეს ან ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იმ პირობით, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხის და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდას“ („SPPI კრიტერიუმი“) და რომ ინსტრუმენტი ამ კლასიფიკაციის შესაბამისი ბიზნესმოდელის ფარგლებშია ფლობილი. ფასს 9-ში შესული ცვლილებები განმარტავს, რომ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმს მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენა ან გარემოება, რომელიც იწვევს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას და განურჩევლად იმისა, თუ რომელი მხარე იხდის ან იღებს გონივრულ კომპენსაციას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისთვის.

ცვლილებები გამოყენებული უნდა იქნეს რეტროსპექტულად და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. ეს ცვლილებები გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

#### 5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა და პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისათვის.

**ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი:** გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც ფასს 9 - ის, ასევე ბასს 39 - ის შესაბამისად, ფინანსური აქტივების ყველა კატეგორიისთვის საჭიროებს განსჯის გამოყენებას, კერძოდ სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობისა და ვადების, ასევე უზრუნველყოფის საგნის ღირებულების პროგნოზირებას გაუფასურების ზარალის განსაზღვრისას და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებას. ეს პროგნოზი ეყრდნობა რამდენიმე ფაქტორს, რომელთა ცვლილებამ შესაძლოა განაპირობოს რეზერვის სხვადასხვა დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაანგარიშებლად კომპანია იყენებს ვადაგადაცილებულ დღეებზე დაფუძნებულ მოდელს, რომელიც ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას. კომპანია ასევე ითვალისწინებს უზრუნველყოფის საგნიდან ამოღებად თანხას, რომლითაც ამცირებს რეზერვის მოცულობას. კომპანიას აქვს შიდა საკრედიტო რეიტინგი, რომლის მიხედვითაც სესხები იყოფა ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით სხვადასხვა ჯგუფებად და ენიჭება დეფოლტის ალბათობა.

**საგადასახადო კანონმდებლობა:** საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ექვემდებარებინათ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა.

## 5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

**გადასახადები:** გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებულია გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისათვის იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია, რომ დაბეგვრადი მოგება ხელმისაწვდომი იყოს, რომლის მიმართ დანაკარგები იქნება გამოყენებული. ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები საჭიროა იმ გადადებული საგადასახადო აქტივების ოდენობის დასადგენად, რომელიც შესაძლოა აღიარებული იყოს, მსგავსი დროის გრაფიკის და მომავალი დასაბეგრი მოგების დონის საფუძველზე, სამომავლო საგადასახადო გეგმიურ სტრატეგიებთან ერთად. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნდა არაარსებითი გადავადებული გადასახადის ნაშთები და მათი ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში არ მიიჩნია მნიშვნელოვნად.

**ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადები:** კომპანიამ იმსჯელა ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადების დადგენაზე, იმ ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა: ტექნიკური ან კომერციული დაძველება, აქტივების მოსალოდნელ ფიზიკური მწარმოებლურობის მოცულობასთან და მოსალოდნელ ფიზიკურ ამორტიზაციასთან კავშირში, რაც დამოკიდებულია საწარმოო ფაქტორებზე, მიუხედავად იმისა რომ მენეჯმენტმა განახორციელა თავისი საუკეთესო შეფასებები აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სტრუქტურის შესაქმნელად, იგი შესაძლოა არსებითად განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებიდან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ციფრებზე.

## 6. ფული და ფულის ექვივალენტები

|                                        | 31 დეკემბერი 2018 | 31 დეკემბერი 2017 |
|----------------------------------------|-------------------|-------------------|
| მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში  | 174,440           | 143,202           |
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში            | 95,800            | 65,671            |
| მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტაში   | 26,491            | 7,359             |
| ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში             | 17,068            | 6,001             |
| <b>სულ ფული და ფულის ექვივალენტები</b> | <b>313,779</b>    | <b>222,233</b>    |

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო. სალაროში ფულის და ფულის ექვივალენტების მნიშვნელოვანი ნაშთის ქონა განპირობებულია კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე, რადგან კომპანიის ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ემსახურება თავის მომხმარებელს 24 საათის განმავლობაში.

## 7. გაცემული სესხები

|                                                                  | 31 დეკემბერი 2018 | 31 დეკემბერი 2017 |
|------------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი | 406,647           | 279,235           |
| ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - ძვირფასეულობით უზრუნველყოფილი | 17,296            | 23,653            |
| დარიცხული და მიუღებელი პროცენტი                                  | 5,981             | 6,318             |
| <b>სულ გაცემული სესხები გაუფასურებამდე</b>                       | <b>429,924</b>    | <b>309,206</b>    |
| სესხის გაუფასურების რეზერვი                                      | (7,733)           | (15,144)          |
| <b>სულ გაცემული სესხები გაუფასურების შემდეგ</b>                  | <b>422,191</b>    | <b>294,062</b>    |

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გადანაწილება ეკონომიკური სექტორების მიხედვით შემდეგია:

|                                                                  | 31 დეკემბერი 2018 |             | 31 დეკემბერი 2017 |             |
|------------------------------------------------------------------|-------------------|-------------|-------------------|-------------|
|                                                                  | ნაშთი             | %           | ნაშთი             | %           |
| ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი | 412,483           | 96%         | 285,060           | 92%         |
| ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - ძვირფასეულობით უზრუნველყოფილი | 17,441            | 4%          | 24,146            | 8%          |
| <b>სულ გაცემული სესხები გაუფასურებამდე</b>                       | <b>429,924</b>    | <b>100%</b> | <b>309,206</b>    | <b>100%</b> |

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ინტერნეშენალ მისო“  
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)  
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ქართულ ლარში)

**7. გაცემული სესხები (გაგრძელება)**

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

|                                                                 | უძრავი ქონებით<br>უზრუნველყოფილი<br>სესხები | ძვირფასეულობით<br>უზრუნველყოფილი<br>სესხები | სულ            |
|-----------------------------------------------------------------|---------------------------------------------|---------------------------------------------|----------------|
| გაუფასურების რეზერვი 2018 წლის 1 იანვარის მდგომარეობით          | (15,144)                                    | -                                           | (15,144)       |
| წლის განმავლობაში სესხების რეზერვის ცვლილება                    | 7,566                                       | (155)                                       | 7,411          |
| <b>გაუფასურების რეზერვი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>(7,578)</b>                              | <b>(155)</b>                                | <b>(7,733)</b> |

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

|                                                                 | უძრავი ქონებით<br>უზრუნველყოფილი<br>სესხები | სულ             |
|-----------------------------------------------------------------|---------------------------------------------|-----------------|
| გაუფასურების რეზერვი 2017 წლის 1 იანვარის მდგომარეობით          | -                                           | -               |
| წლის განმავლობაში სესხების რეზერვის ცვლილება                    | (15,144)                                    | (15,144)        |
| <b>გაუფასურების რეზერვი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>(15,144)</b>                             | <b>(15,144)</b> |

სესხის საკრედიტო ხაზის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

|                                                                              | უძრავი ქონებით<br>უზრუნველყოფილი<br>სესხები | ძვირფასეულობით<br>უზრუნველყოფილი<br>სესხები | სულ            |
|------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------|---------------------------------------------|----------------|
| ფიზიკურ პირებზე<br>გაცემული სესხები - ახალი<br>კლიენტები.                    | 351,026                                     | 3,948                                       | 354,974        |
| ფიზიკურ პირებზე<br>გაცემული სესხები - 1<br>წელზე მეტი საკრედიტო<br>ისტორიით. | 68,644                                      | 6,306                                       | 74,950         |
| <b>სულ გაცემული სესხები<br/>გაუფასურებამდე</b>                               | <b>419,670</b>                              | <b>10,254</b>                               | <b>429,924</b> |
| <b>სესხის გაუფასურების<br/>რეზერვი</b>                                       | <b>(7,578)</b>                              | <b>(155)</b>                                | <b>(7,733)</b> |
| <b>სულ გაცემული სესხები<br/>გაუფასურების შემდეგ</b>                          | <b>412,092</b>                              | <b>10,099</b>                               | <b>422,191</b> |

## 7. გაცემული სესხები (გაგრძელება)

სესხის საკრედიტო ხაზის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

|                                                                              | უძრავი ქონებით<br>უზრუნველყოფილი<br>სესხები | ძვირფასეულობით<br>უზრუნველყოფილი<br>სესხები | სულ            |
|------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------|---------------------------------------------|----------------|
| ფიზიკურ პირებზე<br>გაცემული სესხები - ახალი<br>კლიენტები.                    | 42,759                                      | -                                           | 42,759         |
| ფიზიკურ პირებზე<br>გაცემული სესხები - 1<br>წელზე მეტი საკრედიტო<br>ისტორიით. | 242,301                                     | 24,146                                      | 266,447        |
| <b>სულ გაცემული სესხები</b>                                                  | <b>285,060</b>                              | <b>24,146</b>                               | <b>309,206</b> |
| <b>გაუფასურებამდე</b>                                                        | <b>285,060</b>                              | <b>24,146</b>                               | <b>309,206</b> |
| გაუფასურების რეზერვი                                                         | (15,144)                                    | -                                           | (15,144)       |
| <b>სულ გაცემული სესხები</b>                                                  | <b>269,916</b>                              | <b>24,146</b>                               | <b>294,062</b> |
| <b>გაუფასურების შემდეგ</b>                                                   | <b>269,916</b>                              | <b>24,146</b>                               | <b>294,062</b> |

გაცემული სესხების ანალიზი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

|                                               | უძრავი ქონებით<br>უზრუნველყოფილი<br>სესხები | ძვირფასეულობით<br>უზრუნველყოფილი<br>სესხები | სულ            |
|-----------------------------------------------|---------------------------------------------|---------------------------------------------|----------------|
| 30 დღემდე ვადაგადაცილებული<br>სესხები         | 379,739                                     | 9,684                                       | 389,423        |
| 30-დან 60 დღემდე<br>ვადაგადაცილებული სესხები  | 39,931                                      | 480                                         | 40,411         |
| 60-დან 90 დღემდე<br>ვადაგადაცილებული სესხები  | -                                           | 50                                          | 50             |
| 90-დან 180 დღემდე<br>ვადაგადაცილებული სესხები | -                                           | 40                                          | 40             |
| <b>სულ გაცემული სესხები</b>                   | <b>419,670</b>                              | <b>10,254</b>                               | <b>429,924</b> |
| <b>გაუფასურებამდე</b>                         | <b>419,670</b>                              | <b>10,254</b>                               | <b>429,924</b> |
| გაუფასურების რეზერვი                          | (7,578)                                     | (155)                                       | (7,733)        |
| <b>სულ გაცემული სესხები</b>                   | <b>412,092</b>                              | <b>10,099</b>                               | <b>422,191</b> |
| <b>გაუფასურების შემდგომ</b>                   | <b>412,092</b>                              | <b>10,099</b>                               | <b>422,191</b> |

გაცემული სესხები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს გადავადებულ საკომისიო შემოსავალს ჯამურად 4,034 ლარს (2017: 1,830 ლარს).

## 7. გაცემული სესხები (გაგრძელება)

გაცემული სესხების ანალიზი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

|                                               | უძრავი ქონებით<br>უზრუნველყოფილი<br>სესხები | ძვირფასეულობით<br>უზრუნველყოფილი<br>სესხები | სულ            |
|-----------------------------------------------|---------------------------------------------|---------------------------------------------|----------------|
| 30 დღემდე ვადაგადაცილებული<br>სესხები         | 151,363                                     | 22,727                                      | 174,090        |
| 30-დან 60 დღემდე<br>ვადაგადაცილებული სესხები  | -                                           | -                                           | -              |
| 60-დან 90 დღემდე<br>ვადაგადაცილებული სესხები  | 60,707                                      | 463                                         | 61,170         |
| 90-დან 180 დღემდე<br>ვადაგადაცილებული სესხები | 73,946                                      | -                                           | 73,946         |
| <b>სულ გაცემული სესხები</b>                   | <b>286,016</b>                              | <b>23,190</b>                               | <b>309,206</b> |
| გაუფასურებამდე                                |                                             |                                             |                |
| გაუფასურების რეზერვი                          | (15,144)                                    | -                                           | (15,144)       |
| <b>სულ გაცემული სესხები</b>                   | <b>270,872</b>                              | <b>23,190</b>                               | <b>294,062</b> |
| <b>გაუფასურების შემდგომ</b>                   |                                             |                                             |                |

## 8. სხვა აქტივები

სხვა აქტივების შედგება დასაკუთრებული ქონებისგან, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 43,555 ლარს, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 66,771 ლარს.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ინტერნეშენალ მისო“  
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)  
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ქართულ ლარში)

#### 9. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური ქონება

| ისტორიული ღირებულება               | ოფისის<br>აღჭურვილობა | არამატერიალური<br>აქტივები |
|------------------------------------|-----------------------|----------------------------|
| 2016 წლის 31 დეკემბერი             | 9,919                 | 2,165                      |
| შეძენა 2017 წელს                   | 7,226                 | -                          |
| 2017 წლის 31 დეკემბერი             | 17,145                | 2,165                      |
| შეძენა 2018 წელს                   | 5,534                 | 4,360                      |
| 2018 წლის 31 დეკემბერი             | 22,679                | 6,525                      |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>             |                       |                            |
| 2016 წლის 31 დეკემბერი             | (7,001)               | (865)                      |
| 2017 წლის ცვეთა                    | (1,797)               | (335)                      |
| 2017 წლის 31 დეკემბერი             | (8,798)               | (1,200)                    |
| 2018 წლის ცვეთა                    | (2,377)               | (1,078)                    |
| 2018 წლის 31 დეკემბერი             | (11,175)              | (2,278)                    |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b> |                       |                            |
| 2016 წლის 31 დეკემბერი             | 2,918                 | 1,300                      |
| 2017 წლის 31 დეკემბერი             | 8,347                 | 965                        |
| 2018 წლის 31 დეკემბერი             | 11,504                | 4,247                      |

#### 10. საწესდებო კაპიტალი

2017 წელს საწესდებო კაპიტალი შეივსო 49,066 ლარით, ხოლო 2018 წლის 3 აგვისტოს დამფუძნებლების მიერ ფულადი შენატანის სახით საწესდებო კაპიტალი შეივსო 157,155 ლარით, ასევე 24 სექტემბერს კაპიტალში შენატანმა შეადგინა 101,980 ლარი, რის შემდეგაც საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 734,725 ლარი. საანგარიშგებო თარიღის შემდგომ განხორციელებულ ოპერაციებზე ინფორმაცია მოცემულია 21-ე განმარტებით შენიშვნაში, მათ შორის კაპიტალის შევსებაზე.

#### 11. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

|                                                       | 2018                     |                         | 2017                     |                         |
|-------------------------------------------------------|--------------------------|-------------------------|--------------------------|-------------------------|
|                                                       | საპროცენტო<br>შემოსავალი | საკომისიო<br>შემოსავალი | საპროცენტო<br>შემოსავალი | საკომისიო<br>შემოსავალი |
| შემოსავლები უძრავი<br>ქონებით                         |                          |                         |                          |                         |
| უზრუნველყოფილი<br>სესხებიდან.                         | 59,747                   | 2,871                   | 93,848                   | 85                      |
| ძვირფასეულობით<br>უზრუნველყოფილი<br>სესხებიდან.       | 3,768                    | -                       | 7,011                    | -                       |
| <b>სულ საპროცენტო და<br/>საკომისიო<br/>შემოსავალი</b> | <b>63,515</b>            | <b>2,871</b>            | <b>100,859</b>           | <b>85</b>               |
| <b>საპროცენტო ხარჯი</b>                               |                          |                         | <b>(5,969)</b>           | <b>(7,408)</b>          |

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ინტერნეშენალ მისო“  
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)  
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

|                              |        |        |
|------------------------------|--------|--------|
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | 60,417 | 93,536 |
|------------------------------|--------|--------|

## 12. სხვა შემოსავლები

|                                                          | 2018         | 2017     |
|----------------------------------------------------------|--------------|----------|
| შემოსავალი დასაკუთრებული ქონების რეალიზაციიდან           | 29,700       | -        |
| დასაკუთრებული ქონების თვითღირებულება                     | (26,623)     | -        |
| <b>წმინდა მოგება დასაკუთრებული ქონების რეალიზაციიდან</b> | <b>3,077</b> | <b>-</b> |

დასაკუთრებული ქონება იპოთეკური სესხის უზრუნველყოფას წარმოადგენდა, რომელიც შემდგომში კომპანიამ ელექტრონული აუქციონით შეისყიდა.

## 13. სხვა ხარჯები

|                         | 2018          | 2017          |
|-------------------------|---------------|---------------|
| საკომუნიკაციო ხარჯი     | 5,318         | 8,113         |
| რეკლამის ხარჯი          | 4,327         | 6,601         |
| საკანცელარიო ხარჯი      | 2,993         | 4,625         |
| კომუნალური ხარჯი        | 2,165         | 3,302         |
| ჯარიმები                | 2,000         | 3,051         |
| წარმომადგენლობითი ხარჯი | 414           | 632           |
| ბანკის საკომისიო ხარჯი  | 363           | 555           |
| <b>სულ სხვა ხარჯები</b> | <b>17,580</b> | <b>26,879</b> |

## 14. საკონსულტაციო ხარჯი

|                                 | 2018          | 2017          |
|---------------------------------|---------------|---------------|
| აუდიტის ხარჯი                   | 7,500         | 9,000         |
| იურიდიული მომსახურების ხარჯი    | 5,370         | -             |
| კომპიუტერული მომსახურების ხარჯი | 1,077         | -             |
| თარგმნის ხარჯი                  | 735           | -             |
| უძრავი ქონების შეფასების ხარჯი  | 600           | -             |
| ნოტარიუსის ხარჯი                | 352           | -             |
| სხვა საკონსულტაციო ხარჯი        | 1,378         | 9,275         |
| <b>სულ საკონსულტაციო ხარჯი</b>  | <b>17,012</b> | <b>18,275</b> |

## 15. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი) წლების მიხედვით.

|                                                      | 2018           | 2017            |
|------------------------------------------------------|----------------|-----------------|
| კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი           | 61,784         | 56,944          |
| კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი               | (70,734)       | (78,818)        |
| <b>წმინდა მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან</b> | <b>(8,950)</b> | <b>(21,874)</b> |

## 16. მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მოგების გადასახადის ხარჯს, რომელიც დაანგარიშებულია დაბეგვრამდე მოგების 15% - ის ოდენობით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღად თავდაპირველად განისაზღვრა 2019 წლის 1 იანვარი. 2018 წლის 5 მაისს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება და თარიღმა გადაიწია 2023 წლის იანვრამდე. ახალი რეგულაციის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდის სახით იმ ფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნება არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე დასარიცხი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებულ თანხაზე  $(1/85\% \times 15\%)$  ოდენობის დარიცხვით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008 – 2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია მე - 5 განმარტებით შენიშვნაში.

## 17. ფინანსური რისკის მართვა

კომპანია დგას სხვადასხვა სახის რისკების წინაშე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანიის მიერ გამოყენებული და საკრედიტო რისკთან დაკავშირებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

|                                                                           | შენიშვნა | 31 დეკემბერი<br>2018 | 31 დეკემბერი<br>2017 |
|---------------------------------------------------------------------------|----------|----------------------|----------------------|
| ფული და ფულის ექვივალენტები<br>(საღაროში არსებული ნაღდი ფულის გამოკლებით) | 6        | 200,931              | 150,561              |
| კლიენტებზე გაცემული სესხები                                               | 7        | 429,904              | 309,206              |
| <b>სულ საკრედიტო რისკის საფრთხე</b>                                       |          | <b>630,835</b>       | <b>459,767</b>       |

ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის საკრედიტო რისკების მაქსიმალურ მგრძნობელობას 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სადაც არ არის გათვალისწინებული უზრუნველყოფა და კრედიტის დაცვის სხვა ზომები. საბალანსო აქტივების საკრედიტო რისკის მგრძნობიარობა დაფუძნებულია საბალანსო ღირებულებაზე რომელიც მითითებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

## 17. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

გაცემულ სესხებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი შემდეგია:

|                                                                  | 31 დეკემბერი 2018 |             | 31 დეკემბერი 2017 |             |
|------------------------------------------------------------------|-------------------|-------------|-------------------|-------------|
|                                                                  | ნაშთი             | %           | ნაშთი             | %           |
| ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი | 412,483           | 96%         | 285,060           | 92%         |
| ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - ძვირფასეულობით უზრუნველყოფილი | 17,441            | 4%          | 24,146            | 8%          |
| <b>სულ გაცემული სესხები გაუფასურებამდე</b>                       | <b>429,924</b>    | <b>100%</b> | <b>309,206</b>    | <b>100%</b> |

კომპანია განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძნობიარობას.

**საბაზრო რისკი** გამომდინარეობს (ა)საპროცენტო რისკში (ბ)სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

**სავალუტო რისკი** - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობიარობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

|            | 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით |                       |                       |
|------------|-------------------------------------|-----------------------|-----------------------|
|            | ფინანსური აქტივი                    | ფინანსური ვალდებულება | ნეტო ფინანსური აქტივი |
| აშშ დოლარი | 46,055                              | -                     | 46,055                |
| ევრო       | 1,783                               | -                     | 1,783                 |
| <b>სულ</b> | <b>47,838</b>                       | <b>-</b>              | <b>47,838</b>         |

ქვემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს . არაფულადი აქტივებში ინვესტიციები არ გამოიწვევს მნიშვნელოვან სავალუტო რისკს.

|                                | 31 დეკემბერი 2018                   |                       |                       |
|--------------------------------|-------------------------------------|-----------------------|-----------------------|
|                                | ზეგავლენა მოგება-ზარალზე            |                       |                       |
| აშშ დოლარის 10%-ით გამყარება   |                                     |                       | 4,605                 |
| აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება |                                     |                       | (4,605)               |
| ევროს 10 %-ით გამყარება        |                                     |                       | 178                   |
| ევროს 10 %-ით გაუფასურება      |                                     |                       | (178)                 |
|                                | 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით |                       |                       |
|                                | ფინანსური აქტივი                    | ფინანსური ვალდებულება | ნეტო ფინანსური აქტივი |
| აშშ დოლარი                     | 13,360                              | -                     | 13,360                |
| ევრო                           | -                                   | -                     | -                     |
| <b>სულ</b>                     | <b>13,360</b>                       | <b>-</b>              | <b>13,360</b>         |

## 17. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს . არაფულადი აქტივებში ინვესტიციები არ გამოიწვევს მნიშვნელოვან სავალუტო რისკს.

|                                | 31 დეკემბერი 2017        |
|--------------------------------|--------------------------|
|                                | ზეგავლენა მოგება-ზარალზე |
| აშშ დოლარის 10%-ით გამყარება   | 133,6                    |
| აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება | (133,6)                  |
| ევროს 10 %-ით გამყარება        | -                        |
| ევროს 10 %-ით გაუფასურება      | -                        |

**ლიკვიდურობის რისკი.** ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკი ეხება სესხების გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს, მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების დარეგულირება არსებითად მნიშვნელოვანია .

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

|                                     | 1 წლამდე        | 1 დან 3 წლამდე | 3 წლიდან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი   | სულ             |
|-------------------------------------|-----------------|----------------|-------------------|----------------|-----------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>           |                 |                |                   |                |                 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები         | 313,799         | -              | -                 | -              | 313,799         |
| <b>პროცენტიან აქტივები</b>          |                 |                |                   |                |                 |
| გაცემული სესხები                    | 8,135           | 8,576          | 160,979           | 244,501        | 422,191         |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>       | <b>321,934</b>  | <b>8,576</b>   | <b>160,979</b>    | <b>244,501</b> | <b>735,990</b>  |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>      |                 |                |                   |                |                 |
| მიღებული სესხები                    | (58,765)        | -              | -                 | -              | (58,765)        |
| <b>სულ პროცენტიან ვალდებულებები</b> | <b>(58,765)</b> | <b>-</b>       | <b>-</b>          | <b>-</b>       | <b>(58,765)</b> |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები        | (7,500)         | -              | -                 | -              | (7,500)         |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>  | <b>(66,265)</b> | <b>-</b>       | <b>-</b>          | <b>-</b>       | <b>(66,265)</b> |
| <b>ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია</b>  | <b>255,669</b>  | <b>8,576</b>   | <b>160,979</b>    | <b>244,501</b> | <b>669,725</b>  |

#### 17. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

|                                     | 1 წლამდე        | 1 დან 3 წლამდე | 3 წლიდან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | სულ             |
|-------------------------------------|-----------------|----------------|-------------------|--------------|-----------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>           |                 |                |                   |              |                 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები         | 222,233         | -              | -                 | -            | 222,233         |
| <b>პროცენტიან აქტივები</b>          |                 |                |                   |              |                 |
| გაცემული სესხები                    | 294,062         | -              | -                 | -            | 294,062         |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>       | <b>516,295</b>  | -              | -                 | -            | <b>516,295</b>  |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>      |                 |                |                   |              |                 |
| მიღებული სესხები                    | (52,796)        | -              | -                 | -            | (52,796)        |
| <b>სულ პროცენტიან ვალდებულებები</b> | <b>(52,796)</b> | -              | -                 | -            | <b>(52,796)</b> |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები        | -               | -              | -                 | -            | -               |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>  | <b>(52,796)</b> | -              | -                 | -            | <b>(52,796)</b> |
| <b>ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია</b>  | <b>463,499</b>  | -              | -                 | -            | <b>463,499</b>  |

## 18. კაპიტალის მართვა

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია 2108 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანის მიერ მოთხოვნილი მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნის ადეკვატურობის ანალიზი, საიდანაც დგინდება კაპიტალის ადეკვატურობა მოთხოვნებთან მიმართებაში.

|                                              | 31 დეკემბერი 2018 | 31 დეკემბერი 2017 |
|----------------------------------------------|-------------------|-------------------|
| საწესდებო კაპიტალი                           | 734,725           | 475,590           |
| გაუნაწილებელი მოგება                         | (33,573)          | 51,710            |
| <b>მთლიანი კაპიტალი:1</b>                    | <b>701,152</b>    | <b>527,300</b>    |
| სესხების რეზერვი                             | 7,733             | 15,144            |
| სხვა რეზერვი                                 | -                 | -                 |
| <b>სულ რეზერვები:2</b>                       | <b>7,733</b>      | <b>15,144</b>     |
| სუბორდინირებული სესხები                      | -                 | -                 |
| არამატერიალური აქტივები                      | 4,247             | 2,165             |
| არამატერიალური აქტივის დაგროვილი ამორტიზაცია | (1,087)           | (1,200)           |
| <b>სულ არამატერიალური აქტივები:3</b>         | <b>3,160</b>      | <b>965</b>        |
| <b>საზედამხედველო კაპიტალი: (1-2-3)</b>      | <b>690,259</b>    | <b>511,191</b>    |

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მინიმალური ლიმიტი საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად შეადგენდა 500,00 ლარს. 2017 წლის 31 დეკემბრისთვის მინიმალური ლიმიტი შეადგენდა 250,000 ლარს.

## 19. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

### ა) საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები

კომპანია მომავალში გადაიხდის საიჯარო გადასახადს შეუქცევად საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებით, შემდეგი მინიმალური ოდენობით 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| მინიმალური საიჯარო გადასახადი            | 31 დეკემბერი 2018 | 31 დეკემბერი 2017 |
|------------------------------------------|-------------------|-------------------|
| 1 წლამდე                                 | 35,331            | 34,217            |
| 1 დან 3 წლამდე                           | 64,774            | 68,434            |
| 3 წლიდან 5 წლამდე                        | -                 | 28,514            |
| <b>სულ მინიმალური საიჯარო გადასახადი</b> | <b>100,105</b>    | <b>131,165</b>    |

### ბ) დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

#### 19. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები (გაგრძელება)

ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

#### 20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ დამფუძნებლები და უმაღლესი ხელმძღვანელობა.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ტრანზაქციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან.

|                                                                | 2018                 | 2017                 |
|----------------------------------------------------------------|----------------------|----------------------|
| <i>უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება</i>                    | 19,903               | 13,468               |
| <b>სულ პერსონალის ხარჯი</b>                                    | <b>67,318</b>        | <b>45,554</b>        |
|                                                                | 2018                 | 2017                 |
| <i>დამფუძნებლისგან მიღებული სესხზე დარიცხული პრემიის ხარჯი</i> | 5,969                | 7,408                |
| <b>სულ საპროცენტო ხარჯი</b>                                    | <b>5,969</b>         | <b>7,408</b>         |
|                                                                | 31 დეკემბერი<br>2018 | 31 დეკემბერი<br>2017 |
| <i>დამფუძნებლისგან მიღებული სესხი</i>                          | 58,765               | 52,796               |
| <b>სულ მიღებული სესხები</b>                                    | <b>58,765</b>        | <b>52,796</b>        |

#### 21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 21 ივნისს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას:

2019 წლის 11 ივნისს კომპანიის დამფუძნებლებმა საწესდებო კაპიტალში შეიტანეს 315,000 ლარი, რითაც გაზარდეს საკუთარი კაპიტალი.